# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 2 ივლისი. 2019 წ. №131 (8797) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ნუ დავაქუცმაცებთ ეროვნულ მიზანს!



## „სამშობლოსთვის ბრძოლამ არ უნდა დალუპოს სამშობლო“!..

3

ახლახან თბილისში ჩატარებული ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენციის შესახებ გვესაუბრება მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **გიორგი ჯაფარიძე**



## სამამულო ფუნდამენტური მეცნიერება: დღევანდელობა და პერსპექტივები

6



## ყორანაშვილი ისევ ძველებურად იკორტნება...

5



## დევიდ ლი: პარლამენტში ძალადობრივი შეჭრა „ნაცმოძრაობის“ მიერ ვერ „პრავდება“ დასავლეთში

საქართველოში ევროპული ბიზნესასოციაციის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი დევიდ ლი 20 ივნისის აქციის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს სოციალურ ქსელში განცხადებით ეხმიანება.

**„ბევრის დღევანდელ შეკითხვებს ვუპასუხებ. დღეს ვარ კაქრეთში ბრიტანისტი მეგობრის ქორწილში. ცხადია, ინტერნეტით ვუყურებდით დღევანდელ მოვლენებს. დღეს, გუშინ, მანამდეც შემხვდა რამდენიმე კარგად ნაცნობი ევროპელი კოლეგა. გზავნილი მივიღე და მარტივად ვიტყვი მათ განწყობებს — პარლამენტში ძალადობრივი შეჭრა და ამაზე მოწოდებები ნაცმოს მიერ ვერ „პრავდება“ დასავლეთში.**

**მიშას შედარებები, რომ გარეთ 2003წ. და მსგავსი მოვლენებია, არ „იჭმევა“ ბრიუსელებსა და ლონდონებში. დრონიდან გადაღებული ფოტო/ვიდეო კი დასავლელებს არ აინტერესებთ.**

**თანაც მაქსიმალურად გამოჩენილი ნაცმოსა და მათი სატელიტების მიერ მობილიზებული აქტივი უფრო აქ განსჯისთვისაა საინტერესო, ვიდრე ევროპასა და ვაშინგტონში. რეალურად მათ შეიტყვეს პარლამენტში ძალისმიერი შეჭრის მოწოდებები რევანშიტებისგან და ამას ვერაფრით გადალეჭავენ. უზუსტესი კრისტალიზაცია კი სახეზეა. God save our country!“** — წერს დევიდ ლი საკუთარ ფეისბუქ გვერდზე.

## საქართველოში ტურისტები შემოვლენ აშშ-დან, კანადიდან და ახალი ზელანდიიდან

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ დადებითად შეაფასა ამერიკული ტურისტული კომპანიის „მირ კორპორეიშენისა“ (MIR Corporation) და „ნეიშენალ ჯეოგრაფიკის“ (National Geographic) ერთობლივი პროექტი, რომელიც საქართველოში ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან ტურისტების ჩამოყვანისა და მათთვის სპეციალური ტურისტული სერვისების შეთავაზებას ითვალისწინებს.

**„ჩვენთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. განსაკუთრებით ამ დღეებში, როდესაც საქართველოში ტურიზმი დადგა გამოწვევის წინაშე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა აშშ, კანადა, ახალი ზელანდია და სხვა, საიდანაც ტურისტების ნაკადები შეიძლება მეტი იყოს და დიდია პოტენციალი, სწორედ „ნეიშენალ ჯეოგრაფიკის“ ეგიდით მოხდება მათი შემოყვანა და ჩვენ მათ სიამოვნებით ვუმასპინძლებთ“,** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

## პროპორციული არჩევნები სიჭრელეს გამოიწვევს!



**„ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა პარლამენტში გარკვეულ სიჭრელეს გამოიწვევს, თუმცა ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ჯობია, მწვავე დისკუსიები პარლამენტში წარიმართოს. ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ „ქართული ოცნების“ მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემის პრეზენტაციაზე განაცხადა.**

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებიც, მათ შორის „შენების მოძრაობის“ ლიდერი დავით უსუფაშვილი, „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა, „გირჩის“ წევრი იაგო ხვიჩია, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი აკაკი ასათიანი, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე გოჩა ჯოჯუა, საკრებულოს ყოფილი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, მიხეილ-გელა სალუაშვილი. ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ არასამთავრობო სექტორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

## 6 ივლისს ბათუმში სუმოს ევროპის საერთაშორისო ღია ტურნირია!




12

# პრემიერ-მინისტრი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში



**ჩინეთში ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდა და საქართველოს რეგიონულ ცენტრად გარდაქმნის პერსპექტივა განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ლი კეციანმა შეხვედრაზე, რომელიც გუშინ ქალაქ დალიანში, სახელმწიფო რეზიდენციაში გაიმართა.**

მთავრობის მეთაურმა პრემიერ ლი კეციანს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 70 წლის იუბილე მიულოცა და საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

საუბრისას ხაზი გაესვა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების სრულფასოვანი გამოყენების აუცილებლობას და საქართველოში მეტი ინვესტიციის განხორციელების მნიშვნელობას, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომელთა საექსპორტო პოტენციალი მაღალია. საქართველოს რეგიონულ ცენტრად ქცევის კონტექსტში, ხაზი გაესვა უმსხვილესი კომპანიების დაინტერესების აუცილებლობას, განახორციელონ ინვესტიციები და გახსნან რეგიონული ოფისები საქართველოში.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა პრემიერ ლი კეციანს ასევე განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დალიანში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიწვევისთვის, რომელზეც სულ რამდენიმე ქვეყნის ლიდერია დაპატიჟებული. მამუკა ბახტაძე სიტყვით გამოვა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თემატურ სესიაზე — Talent Transforming Technology. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი დალიანში დღეს ივლისს დასრულდება.



## ლევან იზორია: გამოსაკვლევია უფლებამოსილებების გადამეტების მიზეზები

**რუსთაველის გამზირზე 20 ივნისის ღამეს ცალკეულ შემთხვევებში უფლებამოსილებების გადამეტებას ჰქონდა ადგილი და ის, თუ რა გახდა ამის მიზეზი და რა გარემოებებში მოხდა უფლებამოსილებების გადამეტება, ეს არის გამოძიების პრეროგატივა,** — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ განაცხადა.

კითხვაზე, უნდა ყოფილიყო თუ არა აქციაზე გამოყენებული ის ტყვიები, რომლებიც სიცოცხლისთვის საშიშია, ლევან იზორიამ განაცხადა, რომ შსს მოქმედებდა კანონის ფარგლებში, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში უფლებამოსილების გადამეტებას ჰქონდა ადგილი.



## კახა კალაძე: პროპორციული არჩევნები პრინციპული ინიციატივაა!

**ქვეყნის მართვა სხვადასხვა პოლიტიკური, საზოგადოებრივი სუბიექტის ფართო პოლიტიკური კონსენსუსისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის ფართოდ გადანაწილების პირობებში უნდა გაგრძელდეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი გუნდისთვის, თითოეული ჩვენგანისთვის,** — ამის შესახებ თბილისის მერმა და პარტია „ქართული ოცნების" გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ პროპორციული საარჩევნო სისტემის პრეზენტაციაზე განაცხადა.

**„დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მიზანი და მიზეზი, მგონი, ყველამ ძალიან კარგად ვიცით. გვსურს, წარმოგიდგინოთ საკონსტიტუციო ინიციატივა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით და რაც მთავარია, ნულოვანი ბარიერით ჩატარების შესახებ. საზოგადოებამ იცის, რომ უკვე წლებია, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში დგას. არაერთხელ გამართულა მსჯელობა ამასთან დაკავშირებით, თუმცა რეალურად ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა 2012 წლის შემდეგ, რაც „ქართული ოცნება" მოვიდა ხელისუფლებაში. 2017-2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის საფუძველზე გადაიდგა პრინციპული ნაბიჯი და შემოღებული იქნა პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც 2024 წლიდან უნდა შესულიყო ძალაში და 2024 წელს უნდა ჩატარებულიყო არჩევნები პროპორციული სისტემით. აღნიშნული ცვლილება, რა თქმა უნდა იყო საკონსტიტუციო ცვლილების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის შეუქცევად დემოკრატიულ განვითარებას",** — განაცხადა კახა კალაძემ.

## ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველი სესია დასრულდა. დარეგისტრირებული აბიტურიენტებიდან პირველ სესიაზე 92%-მდე აპლიკანტი გამოცხადდა.



შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით გახსნილ 23-ვე საგამოცდო ცენტრში ტესტირება მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. მეორე სესიისთვის რეგისტრაცია კი 14:00 საათზე დაიწყო.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სთხოვს აბიტურიენტებს, იყვნენ მაქსიმალურად მობილიზებულები და არ დაიგვიანონ საგამოცდო ცენტრებში. აბიტურიენტებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საგამოცდო ბარათი. ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის წელს 41 000-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა. ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით, საგამოცდო ცენტრებში მისასვლელად დამატებითი საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამოიყო. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მთელი საქართველოს მასშტაბით გამოცდები 11 ქალაქის 23 საგამოცდო ცენტრში ტარდება. აპლიკანტთა დიდი რაოდენობის გამო, ხულოსა და ბათუმში დამატებით ორი ცენტრი გაიხსნა. ერთიანი ეროვნული გამოცდები 23 ივლისს ფიზიკის გამოცდით დასრულდება.

## ახალგაზრდების დასაქმების ფესტივალი – 1000-ზე მეტი ვაკანსია!

სოციალური მომსახურების სააგენტო 5 ივლისს საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიაში" ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ფესტივალს გამართავს. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ფესტივალის მონაწილეებს 60-მდე კომპანია 1000-ზე მეტ ვაკანსიას შესთავაზებს. სამუშაო ადგილები სადაზღვევო, საბანკო, სამომხმარებლო-სავაჭრო, საავთიაქო, ენერგეტიკისა და რკინიგზის სფეროებიდან იქნება წარმოდგენილი. ახალგაზრდებს სტაჟირებისა და სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობაც ექნებათ. მათივე ინფორმაციით, დასაქმების ფესტივალში მონაწილეობა, 18-დან 36 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეუძლიათ.

ფესტივალის მიმდინარეობისას სამუშაოს მაძიებლები და დამსაქმებლები, ერთ სივრცეში სწრაფად და მარტივად დაუკავშირდებიან ერთმანეთს.

ფესტივალის მიზანია, ახალგაზრდებს კომპანიის წარმომადგენლებთან კომუნიკაციაში დაეხმაროს და ხელი შეუწყოს მათ სტაჟირების გავლასა და შემდგომ დასაქმებაში. სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები ფესტივალის მონაწილეებს დასაქმების ხელშემწყობ სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებსაც გააცნობენ. ერთდღიანი ფესტივალი საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიას" მე-3 პავილიონში, 12:00 საათზე დაიწყება და სამი საათის განმავლობაში გაგრძელდება. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა Worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელ ახალგაზრდებს ფესტივალის შესახებ ინფორმაცია წინასწარ გაეგზავნებათ.




## ბაკურიანში ზაფხულის სეზონი გაიხსნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ" ბაკურიანში (დიდველზე) ზაფხულის სეზონი გახსნა. ზაფხულის სეზონის განმავლობაში დიდველზე ყველა საბაგირო ყოველდღიურ რეჟიმში 11:00 საათიდან 18:00 საათამდე იმუშავებს. „მთის კურორტების განვითარების კომპანიის" ინფორმაციით, მთის კურორტების განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის აუცილებელია, ზამთრის კურორტები ოთხსეზონიანი გახდეს. ამ მიმართულებით კურორტზე მოწყობილია საერთაშორისო დონის ველოპარკი და 6 000-მეტრიანი ველობილიკი, რომელიც გათვლილია როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული ველომრბოლელებისთვის. დამსვენებლებისათვის, ბაკურიანში (დიდველზე) ამიერკავკასიაში პირველი სამთო-სათხილამურო კურორტების დამატებითი ატრაქციონი „ტობოგანი" — ე.წ. მთის ციგა ფუნქციონირებს.

მათივე ცნობით, ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ, ესტუმრონ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ კინოთეატრ „ბაკურიანს", ყოველკვირეული პრემიერებით. კინოთეატრში განთავსებული საინფორმაციო ცენტრი კი, საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტებს უზრუნველყოფს ინფორმაციით ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტების შესახებ. ცენტრი დამსვენებლებს საშუალებას აძლევს, შეიძინონ სასურველი აბონემენტი რიგში დგომის გარეშე და მიიღონ დეტალური ინფორმაცია ამინდზე, საბაგიროს ფუნქციონირებაზე, მთაზე არსებულ მდგომარეობაზე, განთავსებისა და კვების ობიექტებზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განრიგზე. საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების პოპულარიზაციისთვის შექმნილია ფუნქციურად და ინფორმაციულად სრულყოფილი აპლიკაცია, რომელიც ერთი ბრენდის ქვეშ აერთიანებს ოთხ სამთო კურორტს: გუდაური, ბაკურიანი, გოდერძი, სვანეთი. აპლიკაცია უნიკალური გზამკვლევია, შესაბამისად, მომხმარებელს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის მთის კურორტების შესახებ როგორც ზამთარში, ასევე ზაფხულში.



# „სამშობლოსთვის ბრძოლამ არ უნდა დაღუპოს სამშობლო“...

## დროა, გამოვფხიზლდეთ!

**„სამშობლოსთვის ბრძოლამ არ უნდა დაღუპოს სამშობლო“** — ამ სათაურით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 26 ივნისს გამოქვეყნებულმა არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას სტატიამ უნდა დააფიქროს საქართველოს ყველა მოქალაქე. დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის სულისკვეთების მქონე ყველა ქართულ გაზეთს თუ ტელეარხს მოვუწოდებ ხსენებული სტატიის სათაური რეგულარულად დაბეჭდოს მსხვილი სარეკლამო შრიფტით ყველა ნომერში, ხოლო ტელეარხების მიერ მოწოდებული იყოს ტელეპლაკატად, ვიდრე არ დაშოშმინდება მეამბოხე საზოგადოება.

მეამბოხეთა ქმედება ქმნის რეალურ საშიშროებას, ქვეყანამ დაკარგოს სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობა. ქვეყანაში შექმნილი გაუმართლებელი დაძაბულობა აცდენილია ყოველგვარ ზღვარს, იმ ზღვარს, სადაც აფთრისებურად ჩასაფრებული „მტაცებლები“ ელოდებიან მსხვერპლის დაუძლურებას, რათა უბრძოლველად დაითრიონ, დაეუფლონ იმას, რაც არავითარი ნორმით, წესით თუ კანონით არ ეკუთვნით მათ.

მსგავსი რამ ხომ არაერთხელ ყოფილა ქვეყნის ისტორიაში. დღესაც ხომ ჩვენი სხეული დაგლეჯილია, მოკვეთილია სხეულის მშვენება, გაუბედურებულია მოსახლეობა, დაწიხლულია მთელი ქვეყნის ღირსება. ამავე დროს, დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ქვეყანას უცილობლად ჭირდება ეროვნული პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიცია, არა დამანგრეველი ოპოზიცია, რომელიც ამუხრუჭებს ქვეყნის განვითარებას, არამედ სტიმულატორია ქვეყნის დაუძლურების მექანიზმის ეფექტურად ამუშავებაში. ამავე დროს, დამანგრეველ ოპოზიციას ყოველივე ბუმერანგად უბრუნდება და ხდის მას უპერსპექტივოს.



დროა, გამოვფხიზლდეთ და ერთიანად ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის როგორც დღევანდელობაზე, ისე მომავალზე.

პატივისცემით,
**გიორგი (გიგა) ბათიაშვილი.**


მხოლოდ მთავარზე

სამშობლოსთვის ბრძოლამ არ უნდა დაღუპოს სამშობლო!

ქალოვნებმა სიცოცხლის ფასად დაიცვეს ქვეყანა!

ექსპრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის და ექსპრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გამოჩენა ტელეეკრანებზე, მათმა ორჭოფულმა კომენტარმა მიმდინარე ამბებზე, კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვეს. ისინი ვერ ამაღლდნენ პირად წყენაზე. „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე გადმოსდინდების“. ეს უნდა სცოდნოდა მათ მაღალ პიედესტალზე შემომსმელებს.

ქალოვნების ქმედებები სრულიად ადექვატური იყო, სააკაშვილთან შედარებით, ლმობიერიც კი. პარლამენტის დამხობა ქვეყანამ უკვე იწვნია. ის ასეულობით, ათასეულობით ადამიანის სიცოცხლედ, ციხედ, გაუპატიურებად, რეპრესიად დაუჯდა საქართველოს. არის

პალიკო კუბლაშვილი აღიარებს, რომ „გავრილოვის ღამეს“ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შუამავლის როლს ასრულებდა.

„ჩვენ ყველანი ერთად ვაკვირდებოდით იმ პროცესს, რაც მიდიოდა პარლამენტის შესასვლელთან, ყველა პოლიტიკოსი, არა მხოლოდ ჩემზე მაქვს საუბარი, პოლიტიკოსები, ვინც იყვნენ იქ, ყველანი ცდილობდნენ, რომ სიტუაცია განემუხტათ. განმუხტვის ყველაზე კარგი საშუალება იყო მოლაპარაკება. ამის საშუალება ექნებოდა ადამიანს, რომელსაც შეეძლო, ორივე მხარესთან ჰქონოდა კომუნიკაცია. მე ამ შემთხვევაში შევთავაზე აკაკი ბობოხიძეს, რომ გავსულიყავი კონტაქტზე, შემეთანხმებინა შეხვედრის საკითხი, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ გახარია დათანხმდა ამ ტიპის შეხვედრას. ამის შემდეგ ბობოხიძესთან ერთად ვცდილობდი, რომ აქეთა მხრიდანაც თანხმობა ყოფილიყო. მე ნიკა მელიასთან არ მქონია საუბარი, ბობოხიძესთან მქონდა საუბარი. დროის გამო თუ იმის გამო, რომ ვერ მოვასწარით, შეიძლება მე დავაგვიანე კონტაქტზე გასვლა. ეს შეხვედრა არ შედგა და მოხდა ის, რაც მოხდა. მე ყველაფერი გავაკეთე, რომ ის ღამე სხვანაირად დამთავრებული-

## „ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეთ, გენაცვაო“!

**აშშ-რუსეთი!**
**აშშ-ჩინეთი!**
**აშშ-ჩრდ.კორეა!**
**აშშ-დანარჩენი მსოფლიო!**

ანუ აშშ-ის პრეზიდენტი ყველას ელაპარაკება, ყველასთან ალაგებს ურთიერთობას, „ივიწყებს“ გუშინდელ წყენას, სთავაზობს მეგობრობას, აღარ აფართოებს სანქციებს და, ერთი სიტყვით, დაშაქრდა, დატკბა იმდენად, რომ მსოფლიოს ეს პირველი(!) დემოკრატი მზად არის, რომ თავისი ფეხით მივიდეს ნეიტრალურ ზონაში, რათა მეგობრულად ხელი ჩამოართვას მსოფლიოს პირველ(!) დიქტატორს ჩრდ. კორეიდან...

ეს არის კლასიკური დიპლომატია!

ეს არის კლასიკური პოლიტიკა!

ეს არის პროფესიონალიზმი, სახელმწიფო აზროვნების და მოქმედების ნიმუში, სამაგალითო!

ჭკუის სასწავლებელი!

ეს მინისტრი ზალკალიანი და კომპანია კი, გამაგებინეთ, ვისგან, რას და სად სწავლობს?

ან დეპუტატი ქაცარავა?..

ან მთელი მთავრობა, რომლის აპარატი სავსეა გამოუცდელი, ცხვირმოუხოცავი ჭუჭულაშვილებით...

ან ოპოზიცია!

ან უმრავლესობა!..

ან საერთოდ, მთელი პოლიტიკური ბომონდი, რომელმაც ადრე თუ ახლა მოახერხა და შეძლო პრაქტიკულად განუხორციელებელი: სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა თითქმის ყველა(!) მეზობელი ქვეყანა.

ამაზე არ უთქვამს, მაგრამ მიესადაგება მეფე-პოეტის სიტყვები: „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“

ავოეეეე, გეყურებათ, თქვე ძალიან „ნიჭიერებო“, ნამეტნავად „ჭკვიანებო“ და არნახულად „შორსმჭვრეტელნო“!!!!

შეგახსენებთ, „დედაენიდან“ რომ უნდა გესწავლათ „ნუცას სკოლის“ მოწოდება: „ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეთ, გენაცვაო!“



**ნუგზარ ფოფხაძე**

## რა იქნება ხვალ?

ამერიკელი რიჩარდ პაიპსის შესანიშნავ წიგნში „რუსული რევოლუცია“ პირველი რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი წერს:

„ტრაგედიის წინაშე ისტორიკოსი სულაც არ არის ვალდებული, დარჩეს გულგრილი დამკვირვებელი და თუკი მე ზოგჯერ არ გამომდიოდა ჩემი აღელვების დაფარვა, ამისი აღქმა არ შეიძლება, როგორც „არამეცნიერული“ მიდგომისა. არისტოტელე, რომელიც ყველაფერში ზომიერებას ასწავლიდა, აქ აკეთებდა გამონაკლისს, ამბობდა, რომ ისინი, ვისაც არ აბრაზებს ის, რაც გასაბრაზებელია, უნდა ჩაითვალონ სულელებად. და იქ, სადაც ადამიანებს შორის გამეფებულია უსამართლობა, სწორედაც საჭიროა მრისხანება“.

დაუკვირდით: ამას ავტორი წერს წარსულზე და ვინ უნდა დამძრახოს, თუკი აწმყოს ვითარება მრისხანებით მომიცავს?!

თვალი გავუსწოროთ დღევანდელ დღეს. პარლამენტის შენობის წინ გამომსვლელთა შორის, გარდა გულუბრყვილო ახალგაზრდებისა, ყველამ დაინახა ოდიოზურ „პარტიათა“ ოდიოზური ლიდერები. მე ერთ რამეს ვურჩევდი გულწრფელ ახალგაზრდებს: თქვენ დაბადებულიც არ იყავით, როდესაც 1964 წელს სწორედ ქართველების გამოსარჩლების გამო დამაპატიმრეს და თავი მიკრეს მოსკოვის ავადახსენებელი ბუტირკის ციხეში. შემდეგ, 1978 წლიდან, როგორც პოლიტპატიმარი, მამყოფეს სუკის შიდა საპატიმროში ერთი წელი და გადამასახლეს ყაზახეთში, ჩინეთის საზღვრის მახლობლად. იმ დასახლებაში, სადაც ვიყავი, თითქმის ყოველ დილით გზაზე გვამს პოულობდნენ. ასე რომ, ვერც პატრიოტობას და ვერც რუსებს ვერავინ მასწავლის. ჩემი თხოვნაა, ნუ აყვებით ოდიოზური პარტიების თავკაცებს, მათ მხოლოდ ეგოისტური მიზნები ამოძრავებთ.

ჩვენს ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ მთავრობას კი ამას ვურჩევდი: თუ სხვა გამოსავალი აღარაა და წესრიგი ვერ მყარდება, საჭიროა დიქტატურის შემოღება. დიქტატურის ცნება, პირველ ყოვლისა, შეიცავს ასეთ განმარტებას: დიქტატურა არის საშუალება, გარკვეული მიზნის მისაღწევად, რადგანაც მისი შინაარსი განისაზღვრება მხოლოდ დასახული მიზნის მიღწევაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. ამიტომ არ შეიძლება, მას მივაწეროთ მაინცდამაინც დემოკრატიის გაუქმების სურვილი. ხოლო თუკი დემოკრატია იქცევა ყოველგვარი უმსგავსობის დამკვიდრების საშუალებად, მაშინ იკრძალება ასეთი დემოკრატიის არსებობა, პარლამენტი, პრესა, ტელევიზია, ე. ი. ის საშუალებები, რომლებიც ემსახურებიან ასეთ დემოკრატიას.



**თუ არაფერზე იფიქრებთ და იქნებით ასე, მაშინ მოექცევით იმ განსაზღვრებაში, რასაც ჰეგელი უწოდებს „ზარმაც გონებას“. ასეთი გონება კი არც ერთ შემთხვევაში დაუსჯელი არ რჩება.**

**ვიქტორ რცხილაძე**

## „მოკუმულ პირში ბუზი ვერ შეფრინდება“!

**არ მეგულება ჭეშმარიტი ქართველი, რომ არ შეძრულიყო 20-21 ივნისის ღამის მოვლენებით. დიდება ქართველ მედიკოსებს! დიდება ქართველ პოლიციელებს! რომ არა მათი პროფესიისადმი ერთგულება, მსხვერპლი უფრო დიდი იქნებოდა და ქვეყანა დაკარგავდა კონსტიტუციურ წონასწორობას. მადლობა შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას!**

ინგლისური ანდაზა ღაღადებს — „რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერი ვერ უზამს“. როდემდე უნდა წამოგვაგოს მტერმა თავის ანკესზე, როგორ ვყავართ ასე შესწავლილი, რომ ზუსტად იცის, რა დაგვაკარგინებს წონასწორობას და რა მიგვიყვანს მასობრივი ფსიქოზის ზღვრამდე.

ვერავის ვერ დავაბრალებთ გავრილოვის წამოსკუპებას პარლამენტის თავჯდომარის სავარძელზე, ეს ჩვენი ბედოვლათობაა, ქართული ხასიათის დამახასიათებელი თავდაჯერებულობა და გულარხეინობა, მაგრამ შე დალოცვილო, შენსავე დაგებულ ხაფანგში საწყლად გაბმულო, რაღა გაღრიალებს და დებოშიორობ. კიდევ ერთი ინგლისური ანდაზა — „მოკუმულ პირში ბუზი ვერ შეფრინდება“. ნაცვლად იმისა, გამოგვენახა ძალა და შორსმჭვრეტელური დუმილით არ შეგვემჩნია ჩვენი შეცდომა, თავი დავკარგეთ... არ დააყოვნეს და სხვადასხვა პარტიებმა უცბად მიუშვეს წყალი თავიანთ წისქვილებზე. გაგახსენებთ სულმნათი ჭაბუა ამირეჯიბის ერთ ოქროს შეგონებას:

„პარტია მოსახლეობის გარკვეული ფენის ინტერესების გამომხატველი ორგანიზაცია უნდა იყოს და არა მოსახლეობის რომელიმე ნაწილის ხელისუფლებისადმი უარყოფით განწყობილებაზე აგებული პოლიტიკით მოსარგებლე და ხელისუფლების დასაპყრობად ამხედრებული პირთა ჯგუფი.“

მრავალი ოპოზიციური პარტია სიტყვით კონსტიტუციურ კანონმდებლობას უხდის ხარკს, მაგრამ საქმით სახელმწიფოს დამანგრეველი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს იმ საბედისწერო ღამეს...

სულ უფრო ხშირად და ხშირად არ მასვენებს ერთი მოსაზრება... საქართველოსთვის სასურველი ფორმაცია არასოდეს არ დადგება და ესეც ჩვენი ბუნებიდან გამომდინარეობს...

ქართველებო, ამ კიდევ ერთი განცდილი და გადატანილი მწარე გაკვეთილიდან მაინც გავაკეთოთ ჭეშმარიტი დასკვნა. ვიფიქროთ კანონის ფარგლებში არსებულ მოქმედებებზე, რათა სამშობლოსათვის ბრძოლამ არ უნდა დაღუპოს სამშობლო.



**თამაზ დოგრაშვილი,**
არქიტექტორი, 30 ივნისი, 2019 წელი



# „გავაკონტროლოთ, მაგრამ არ ავკრძალოთ!“

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ყოფილი მთავარი სანიტარიული ექიმი **გენადი ონიშჩენკო** თვლის, რომ რუსეთმა საქართველოდან შეტანილი ღვინის კონტროლი უნდა გაამკაცროს, თუმცა მიწოდებები არ აკრძალოს.

**„კონტროლის გაძლიერების ზომები დროულად არის მიღებული, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების უმართაობის გათვალისწინებით, ეს აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი იყო. ამ ქვეყნიდან შემომავალი ალკოჰოლური პროდუქციის კონტროლის გამკაცრება ნამდვილად გვმართებდა, მაგრამ აკრძალვა, ჩემი აზრით, აუცილებლობას არ წარმოადგენს. ვფიქრობ, სწორია, რომ საუბარია სწორედ კონტროლის გაძლიერებაზე, რადგან ქართული ღვინის შემოტანაზე სრული აკრძალვის საფუძველი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში — სადღეისოდ“,** — განაცხადა ონიშჩენკომ.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, ამჟამად ეკონომისტი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე **ივან სტარიკოვი** თვლის, რომ კრემლი „როსპოტრებნადზორის“ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებით ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტის იმიჯს საბოლოოდ ძირავს:

**„მთლად სამარცხვინოდ დააგდებს ეს ისტორია (ქართული ღვინის ხარისხში მორიგი „დაეჭვება“ — რედ.) „როსპოტრებნადზორის“ ისედაც შერყეულ იმიჯს. უკვე მერამდენედ, ყველას თვალწინ ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ინსტიტუტს პოლიტიკური მიზნებისთვის, კერძოდ, სხვა ქვეყნების მიმართ შურისძიებისთვის იყენებენ. ეს მისი სახელისა და რენომეს სრულ დევალვაციას ნიშნავს. უეცარი დაეჭვება ქართული ღვინის ხარისხში ყოველივე ზემოთქმულისა და იმის ფონზე, რომ რუსეთში რამდენიმე ასეული ტონა პალმის ზეთია შემოტანილი, დიდი პრობლემები გვაქვს რძის პროდუქტების ხარისხის კუთხით და ა.შ., — ეს ყველაფერი ქმნის საფუძველს, რუსეთის მოქალაქეებიცა და უცხოელი პარტნიორებიც „როსპოტრებნადზორის“ განცხადებებს მომავალში უბრალოდ აღარ ენდონ“.**




გარდა ამისა, მისი აზრით, კრემლის ახალი სანქციები თავად რუსეთს საქართველოზე არანაკლებად დააზარალებს:

**„წმინდა პრაგმატული თვალსაზრისითაც რომ შევაფასოთ კრემლის ახალი სანქციები, რაღა თქმა უნდა, საქართველოსკენ პირდაპირი ფრენების აკრძალვა მნიშვნელოვნად დააზარალებს ქართულ ტურისტულ ბიზნესს, არაერთ კარგ ტურისტულ კომპანიას, ალბათ, გააბანკროტებს კიდეც. თუმცა ეს არანაკლებად დაარტყამს რუსულ საავიაციო თუ ტურისტულ ბიზნესსაც. აგერ, გადავხედე უკანასკნელ სტატისტიკას და ჩვენმა ტურისტულმა გადამზიდავებმა პირველი კვარტალის შედეგებით რეკორდული ზარალი — 45 მლრდ რუბლი აჩვენეს, ხოლო საქართველოსკენ ავიაბილეთების მასობრივი დაბრუნება მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს, თანაც ძალზე მნიშვნელოვნად. იგივე ბედი ელით რუსულ ტურისტულ კომპანიებსაც, რომელთაც თანხების დაბრუნების გარდა, შესაძლოა, კლიენტებისთვის სასამართლოს მიერ დაკისრებული კომპენსაციების გადახდაც მოუწიოთ. ესეც რომ არა, თავად რუსეთის ხელისუფლების მიმართ ისედაც არცთუ ძლიერ სიყვარულს ეს ყველაფერი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებში კიდევ უფრო შეამცირებს, რადგან მათ უმეტესობას მშვენივრად ესმის, რომ ხელისუფლებამ დასვენება წმინდა პოლიტიკური მიზეზებით, საქართველოს დასასჯელად გაუფუჭა“.**



## ვლადიმერ პაპავა:

# ქვეყანას ეკონომიკური განვითარების სტრატეგია არა აქვს!

**„სტრატეგია** იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა ეკონომიკურად და რას უნდა დაეფუძნოს იგი, არ არსებობს. ფოკუსირება ხდება მხოლოდ ერთი დარგის განვითარებაზე, ეს არის ტურიზმი“ — ამბობს თსუ-ს პროფესორი **ვლადიმერ პაპავა**.

საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ ვლადიმერ პაპავამ ასე შეაფასა:

**„როდესაც საქართველოს ეკონომიკაზე ვსაუბრობთ, უნდა გავმიჯნოთ ორი საკითხი, ერთია წმინდა თეორიული, მეცნიერული პრობლემა და მეორე პრაქტიკული. უკვე 10 წელიწადზე მეტია, რაც მსოფლიო დონის წამყვანი ეკონომისტები აკეთებენ მკაფიო შეფასებას იმის შესახებ, რომ მშპ-ს საშუალებით ეკონომიკური ზრდის შეფასება არის შეცდომა. ეს არ არის სწორი და არ იძლევა ადეკვატურ შეფასებას. მაგალითად, იმ მეთოდოლოგიით, როგორც იანგარიშება მშპ, რაც მეტი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდება, რაც მეტი მანქანა დაიმტვრევა და მეტი ადამიანი დაზიანდება და დაიღუპება, მით მეტი იქნება მშპ. თუ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდება და ინფრასტრუქტურა დაზიანდება, დაზიანებულ ავტომობილს დასჭირდება შეკეთება, ეს ყველაფერი ეკონომიკური აქტიურობაა; ადამიანი, რომელიც საავადმყოფოში მივა და იმკურნალებს, გაიზრდება ჯანდაცვის ხარჯიც. ღმერთმა დაიფაროს და თუ დაიღუპება ადამიანი, სარიტუალო ხარჯებია საჭირო. ასე, რომ ეს ყველაფერი ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელია. ასე შეფასებული ეკონომიკური ზრდა კი ადამიანების კეთილდღეობას არ აჩვენებს. ამიტომ ეკონომისტები არიან ძიებაში, როგორ ჩაანაცვლონ მშპ ან თუ არ ჩანაცვლდება, რა იქნას მასთან ერთად გამოყენებული.**

**მეორე პრობლემა, რაც აქვს ჩვენს ეკონომიკას, ზრდის სტრუქტურაა. ყველაზე სწრაფად ფინანსური სექტორი იზრდება, იზრდება სასტუმროების ბიზნესი, რესტორნების ბიზნესი, სამთავრობო ხარჯები და იჯარით გაცემული ქონება. ეს ყველაფერი არის ეკონომიკური საქმიანობა და მისი ზრდა აისახება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე. თუმცა ეს არ ნიშნავს მოსახლეობის კეთილდღეობას. ამიტომ, საზოგადოებას ჰგონია, რომ მთავრობა ატყუებს, სინამდვილეში არც მთავრობა ტყუის და არც მოსახლეობა.**

**არსებობს მთავრობის ზოგადი ეკონომიკური პროგრამა, თუმცა ეს არის ძალიან ზოგადი და არაფრის მთქმელი დოკუმენტი. სტრატეგია იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა ეკონომიკურად და რას უნდა დაეფუძნოს, არ არსებობს. ფოკუსირება ხდება მხოლოდ ერთი დარგის განვითარებაზე, ეს არის ტურიზმი,“** — ამბობს ვლადიმერ პაპავა.

**ნათია კეკენაძე.**

# როდის აღდგება საქართველოსა და რუსეთს შორის ავიამიმოსვლა?

**რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა ამ დღეებში განაცხადა, რომ ავიამიმოსვლა საქართველოსთან აღდგება მაშინ, როდესაც სიტუაცია ქვეყანაში დაბრუნდება „არარუსოფობიურ კალაპოტში“..**

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება ძველი საბჭოთა ანეკდოტის გახსენება — „რომელ ღმერთს ჰგავს საბჭოთა კავშირი? ამურს — იმიტომ, რომ შიშველია, კბილებამდე შეიარაღებული და ყველას ერჩის თავისი სიყვარულით“.

ერთმნიშვნელოვანია, რომ „რუსოფობია“ ამ შემთხვევაში არის ევფემიზმი — ქართული ოპოზიცია ერჩის არა რუსეთის მოქალაქეებს, არამედ რუსეთის ხელისუფლებას და ეროვნება აქ არაფერ შუაშია. ეს უფრო პუტინოფობია, ან კრემლოფობიაა. მაშინ პესკოვმა პირდაპირ თქვას — შეწყვიტეთ ჩვენი ლიდერის გინება და მერე ისევ მივცემთ ჩვენს მოქალაქეებს ქართული ღვინის სმის და ხაჭაპურებზე ჩამოსვლის უფლებას.

თუმცა, თუ შევხედავთ დისკუსიებს სოციალურ ქსელებში, ბევრს ეს არ ესმის. საზოგადოების დიდმა ნაწილმა, რომელმაც დაინახა სურათები თბილისის მოედნებიდან და ქუჩებიდან ანტირუსული პლაკატებით, აღშფოთდა — ეს როგორ შეიძლება? ჩვენ ყოველთვის ძალიან გვიყვარდა ქართველები, და მათ თურმე ვეზიზღებით?

მაგრამ იქნებ არაა საჭირო ასეთი სიყვარული? იქნებ საკმარისია უბრალო პატივისცემა — პირველ რიგში ქვეყნის სუვერენიტეტის და იმის, რომ მათ არ სურთ „უფროსი ძმის“ ზედმეტად თავზე მოხვეული რჩევები? თანაც არ გვაწყენს გავიხედოთ უკან, 10 წლის წინათ. როდესაც საქათველოს „აიძულებდნენ მშვიდობას“, ისევე, როგორც დღეს — აიძულებენ სიყვარულს — ოღონდ ამჯერად ეკონომიკური მეთოდებით.

სიყვარული-ზიზღი ემოციური კატეგორიებია და ქვეყნებს შორის ურთიერთობებში მათ უფრო მოაქვთ ახალი პრობლემები, ვიდრე უკვე არსებულების გადაწყვეტა.

რაო, არ გიყვარვართ? მაშინ ავუკრძალავთ ჩვენს ხალხს ლორის ჭამას (უკრაინა), შპროტებს (ლატვია), ვაშლს (პოლონეთი), პომიდორს (თურქეთი), ხაჭაპურს (საქართველო), რძეს (ბელარუსი)..

მთელ მსოფლიოში მეზობლებს ხშირად არ უყვართ ერთმანეთი, თუმცა ახერხებენ თანაცხოვრებას კანონების და ყველასთვის მომგებიანი ურთიერთობების წყალობით. მუდმივად ითხოვდე სიყვარულს და დასაჯო ვილაცა მისი არარსებობის გამო — სწორედ ესაა პათოლოგია, ხოლო სამაგალითო დასჯა, ისე, რომ დაზარალდეს შენიანიც და უცხოც — ეს არის ორმაგი პათოლოგია.




სინამდვილეში კი ჩვენი დიპლომატები, რომლებიც ლაპარაკობენ, როგორც კრიმინალური ავტორიტეტები — სწორედ ესაა რუსოფობია. რუსეთის მოქალაქეების ერთმანეთის წინააღმდეგ განწყობა — ესაა რუსოფობია.

ერთი რუსი, რომელიც ცხოვრობს სინგაპურში, წერს: „სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, რომელ ქვეყანაში, რომელ კონტინენტზე, ან რომელ ოკეანეში, ყველაზე მეტად მე, რუსი, არ ვუყვარდი რუსეთში — დაწყებული მოსკოვიდან, დამთავრებული ურალით. იმდენად არ ვუყვარდი, რომ ახლა ხელს გიქნევთ სინგაპურიდან. სხვათა შორის, აქ მცხოვრებ ერებსაც არ უყვართ ერთმანეთი — სხვადასხვა რამის გამო, თუმცა, ახერხებენ თანაცხოვრებას ნეიტრალურად და მშვიდობიანად. სიყვარული ერებს შორის კი — ვის რაში სჭირდება ის?“.

სიტყვა „სიყვარულს“ დღეს რუსეთში ემართება იგივე, რაც ისეთ სიტყვებს, როგორცაა „სულიერი ფასეულობები“ და „პატრიოტიზმი“ — დღეს, წესიერ საზოგადოებაში ამ სიტყვების გამოყენება ბრჭყალების გარეშე შეუძლებელია.

მალე იგივე მოუვა „რუსოფობიასაც“ — მას ხმარებიდან ამოიღებს ყველა, პროფესიული პატრიოტების გარდა, რომლებიც ამაში ფულს იღებენ.

სხვათა შორის შემდეგი მცნება, რომელიც მალე განიცდის სრულ დევალვაციას — არის პატივისცემა. ზოგჯერ გინდა შეიცოდო ისინი, ვინც მოითხოვს პატივისცემას ძალით და დაშინებით, თუმცა, როგორც კი გაიხსენებ, ამას რა მოჰყვება — იმწუთსვე ილვიძებს რუსოფობია. გიჩნდება სურვილი, ყველას ჯიბრზე ჩახვიდე თბილისში, ან სულ ცოტა, მიირთვა მწვადი მოსკოვის რომელიმე ქართულ რესტორანში...

Rosbalt.ru


ისტორიკოსის თვალით

ქართველი მეცნიერი ამხელს!

მესხების განსახლების არეალი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი და ისტორიკოსი, პროფესორი გურამ ყორანაშვილი ქართულ მეცნიერებაში შექმნილი საგანგაშო ვითარების შესახებ გვესაუბრება და აცხადებს, რომ საქართველოს ისტორია თავიდან არის დასაწერი! მეცნიერის თქმით, ზოგიერთი მისი

გურამ ყორანაშვილი:

მესხების ინდოევროპელებად გამოცხადებით ძალიან არიან დაინტერესებული სომეხი მეცნიერები!

ვახიშვილს. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის მე-16 ყრილობაზე, 1954 წელს, ივანე ჯავახიშვილი ვასილ მჟავანაძემ კიდევ ერთხელ გააკრიტიკა. ცხადია, ასეთ პირობებში ივანე ჯავახიშვილს თავისი სკოლის შექმნა ძალიან გაუჭირდა და ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში თავიდან ბოლომდე გაბატონდა დოგმატიზმი. როგორც სოცრეალიზმიდან ვერ შეიქმნება ნამდვილი ლიტერატურა, ისე დოგმატიზმის პირობებში ისტორიული მეცნიერება ვერ განვითარდება! სხვათაშორის, „საქართველოს ისტორიის“ ის სახელმძღვანელო, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა სტალინის მითითებით დაწერეს და 1940 და 1943

ბი! მიმაჩნია, რომ მესხები ქართები არიან და წარმოადგენენ ჩვენი კულტურისა და ეთნოსის ორგანულ ნაწილს. **ქართველ ისტორიკოსს ასეთი რამ პირიდან როგორ უნდა ამოუვიდეს? სხვა თუ არაფერი, ტოპონიმი „მცხეთა“ ხომ პირდაპირ მესხებს უკავშირდება?** არავითარი ინდოევროპელი მესხები ბუნებაში არ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ ქართველი მესხები! როგორც გითხარით, 1974 წელს გამოვეცი წიგნი ქართველთა წარმომავლობის შესახებ და წაიკითხეთ, თქვე დალოცვილებო! ჩვენი მეცნიერების უბედურება, იცით, რა არის? ერთმანეთის წიგნებს არ კითხულობენ!

**— იმავე როლანდ თოფჩიშვილმა სვანურ ენასაც ყისტი მისდო — აქაოდა, სვანურს თურქული უმლაუტები ახასიათებსო!**

— სვანურ ენაში მე თურქულ უმლაუტებს კი არა, წინარექართულ ფენებს ვხედავ! სვანებს ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან ისტორიულად აკავშირებდათ ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, გავლენები ენებისა და ხალხების ურთიერთობაში ყოველთვის შეიმჩნევა, მაგრამ როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ სვანურში თურქული უმლაუტები გვხვდება?! ქართული ენის ჯავახურ და მესხურ დიალექტებშიც გვხვდება თურქიზმები და მაშინ ისინიც თურქულ ენებად გამოვაცხადოთ?! **დღეს ჩვენ გვყავს პატარ-პატარა ისტორიკოსები, მაგრამ ფართო ხედვის ისტორიკოსები არ გვყავს.** გავიხსენოთ, რას ამბობს ილია —

# ყორანაშვილი ისევ ძველებურად იკორტნება...

## ანუ ისტორიის ქვევრში ჩავარდნილი ბინძური წრუწუნას ფართიფურთი

**სრულიად მოულოდნელად და ჩვენდა გასაოცრად ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთ ფლაგმანში, გაზეთში, რომელიც თავისი ობიექტურობით, მაღალი პასუხისმგებლობით, ჟურნალისტური ეთიკის მკაცრი დაცვით არის ცნობილი – „ასავალ-დასავალის“ 2019 წლის 10-16 ივნისის ნომერში წავიკითხეთ ინტერვიუ სათაურით „ქართველი მეცნიერი ამხელს!“, რამაც ბევრი კითხვა გაგვიჩინა და გვინდა, საჯარო მსჯელობის საგნად გავხადოთ:**

გაზეთის ფურცლებიდან **ღრმად ავადმყოფი ადამიანის სახე** შემოგვცქერის, რომელსაც, როგორც ჩანს, მეტი საქმე აღარ დარჩენია – დგას და საჯაროდ ქართულ საისტორიო მეცნიერებას აგინებს და აბითურებს: **„ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული საისტორიო სკოლა წინ ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წავიდა და პირიქით, რაც იყო ისიც დაინგრა...“; „მეცნიერებათა აკადემია მკვდარია“, ანუ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ყველაფერი ცუდად არის, არავინ არაფერს არ აკეთებს, ყველაფერი იღუპება – და მხოლოდ ის, გურამ ყორანაშვილია ერთადერთი საქმის გამკეთებელიც და საისტორიო დარგის მიმპატრონებელიც, ანუ „ქართული ისტორიის მომზენი“**

ის, რომ გ. ყორანაშვილი მატყუარა, ავყია, ცილისმწამებელი არაკაცია, ჩვენ ჯერ კიდევ 2016 წელს საქართველოს მკითხველ საზოგადოებას საჯაროდ დავუფიქსირეთ. როგორც დადასტურდა, გ. ყორანაშვილს ქრონიკული ავადმყოფობის გამო სერიოზული მარაზმიც დაწყებია, მას მეხსიერებაც საკმაოდ ღალატობს, რადგან დაავიწყდა, რომ ერთ-ერთი ისტორიკოსის ნაშრომი 2013 წლის 8 მარტის „ჩვენი მწერლობის“ № 5-ში უკვე გააკრიტიკა და იგივე სიტყვებით, იგივე შენიშვნები ახლა უკვე „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდა (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 2016 წლის 11 ნოემბერი).

გაზეთის რედაქციამ იმდენად არგუმენტირებულად ჩათვალა მაშინ ჩვენი საპასუხო წერილი გ. ყორანაშვილის ავადმყოფობის (მარაზმის) შესახებ, რომ ის ულაპარაკოდ დაგვიბეჭდა (2016 წლის 9 დეკემბერი).

დაავადებათა ამ მოურჩენელ სიმპტომებს, ამ ბოლო ხანს, როგორც ამას თვითონ გ. ყორანაშვილი ხაზგასმით მიუთითებს, დამატებია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომიც – როგორც ჩანს, მას ბოლო წლებში საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ავადმყოფური „პროფესიაც“ შეუთვისებია – **ის გულმოდგინედ იქექება თბილისის სანაგვეებში** (აბა, მაშ საიდან უნდა იცოდეს ვისი წიგნი – ვინ, სად, როდის, რომელ სანაგვეში გადააგდო?) – ეს სიმპტომიც აუცილებლად უნდა დავუმატოთ ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ჩამოთვლილს და აშკარა გახდება, რომ მართლაც **სერიოზულ კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე**...

როგორ შეიძლება, ბატონო „კრიტიკოსო“, ავადმყოფო გ. ყორანაშვილო, რაც არ უნდა ყრუ და ბრმა იყო, ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელშიც ასობით ღირსეული და პატივცემული ადამიანი საქმიანობს, ღირებული ვერაფერი დაინახო, რომ ქართული ისტორიოგრაფია მკვდარია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აღარ არსებობს და ა.შ. და ა.შ.

მატყუარა გ. ყორანაშვილო, ასეთი სერიოზული განცხადების შემდეგ, თუ კი თქვენთვის ოდნავ მაინც ძვირფასია ობიექტურობა და მეცნიერული ეთიკის პრინციპები, ეს „ფაქტები“ არ უნდა გადაგემოწმებინათ სხვა ისტორიკოსებთან, საისტორიო საზოგადოებასთან (მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სოხუმის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრაზე და ა.შ.)? განა შეიძლება დავიჯეროთ, რომ თქვენ ისეთი სულით ღატაკი ხართ, რომ ბოლო წლებში საქართველოში გამოცემული არცერთი ღირსეული საისტორიო წიგნი არ წაგიკითხავთ (მაგალითად, ჩვენ მიერ გამოცემული ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის კაპიტალური ნაშრომი „ქართველები“ (2015 წ.), რომლის რუსულმა ვარიანტმა აალაპარაკა მოსკოვის საისტორიო საზოგადოება; აკად. მ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეული, რომელიც განსაკუთრებით დიდი ტირაჟით დაიბეჭდა და მკითხველის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა; გამომცემლობა „პალიტრა – L“ -ის პოპულარული სერია „50 პერსონა“, რომელიც ქართველი ისტორიკოსების შრომის შედეგია? ნუთუ დავიჯერო, რომ არ წაგიკითხავთ ქართველი ისტორიკოსების საინტერესო და ღრმად არგუმენტირებული ნაშრომები ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ; თვალი არ მიგიდევნებიათ მათი ინტენსიური საქმიანობისთვის საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში? (ასეთი ნაშრომების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს); ნუთუ არაფერი გაგიგიათ, რა დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენი მეცნიერები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე რუსეთის იდეოლოგიური დივერსიის წინააღმდეგ? სანამ ამ კიდევ ერთ ცრუ ინტერვიუს მისცემდით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში კიდევ ერთხელ შეგეხედათ და გენახათ – მაინც რა ხდება დღეს ქართულ საისტორიო მეცნიერებაში.

ყიამყრალო „ისტორიკოსო“, რატომ გავიწყდებათ საკუთარი ბიოგრაფია?! მაგალითად, გაგახსენებდით 1999 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური კომისიის (ხელმძღვანელი აკად. გრ. გიორგაძე,) მიერ ჩატარებულ დიდ მუშაობას, როცა საჯაროდ გამხილეს ცილისწამებლური ბრალდებებით აკად. მელიქიშვილის მიმართ და დაასაბუთეს, რომ მის მიერ წამოყენებული არცერთი ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და იყო მხოლოდ უღირსი ინსინუაციების შედეგი, ხოლო აკად. გ. მელიქიშვილი – მსოფლიოში აღიარებული ურარტოლოგია (იხ. „ტერორიზმი მეცნიერებაში“ თბ., 1999).

2000 წელს სპეციალურ დისკუსიაში ქართველი მეცნიერების დიდმა ჯგუფმა (აკად. ო. ლორთქიფანიძემ, აკად. მ. ლორთქიფანიძემ, აკად. გრ. გიორგაძემ, აკად. ე. ხოშტარია-ბროსემ, პროფ. მ. ინაძემ, პროფ. ვ. ჯაფარიძემ და სხვ.) ასევე გამხილათ არაკომპეტენტურობასა და უვიცობაში საქართველოს სახელმწიფოებრიობის წარმოშობის კარდინალურ საკითხებთან დაკავშირებით (იხ. „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, თბ., 2001).

შემდეგ წლებშიც თქვენი გაუთავებელი თავდასხმები ქართულ ისტორიოგრაფიაზე და ისტორიკოსებზე მუდამ მარცხით მთავრდებოდა (გავიხსენოთ გ. ყორანაშვილის გაჭიანურებელი, უსამართლო და უსაფუძვლო „პაექრობა“ აკად. დ. მუსხელიშვილთან, რომელმაც ქვა-ქვაზე არ დატოვა მჩხიბავი კრიტიკოსის „არგუმენტებიდან“ და საჯაროდ ამხილა ის როგორც **პროფესიონალი ინტრიგანი და გრაფომანი)**.

ამასთან, ყველა სიკეთესთან ერთად, თქვენ ყიამყრალო ისტორიკოსო, პლაგიატიც ხართ: პროფ. კ. ტაბატაძემ 1998 წელს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე გამხილათ აშკარა პლაგიატში – სხვისი თვალსაზრისის მითვისება-გამოყენებაში და იძულებული გახდით, ეს ფაქტი თვითონვე გეღიარებინათ! (იხ. „ტერორიზმი მეცნიერებაში“, თბ., 1999, გვ. 30-31) და სწორედ ასეთი ბიოგრაფიის მქონე ადამიანი დღეს ჩირქს სცხებთ უამრავ კეთილშობილ, თავდადებულ, თავის საქმეზე შეყვარებულ ისტორიკოსს – ნამდვილ პროფესიონალებს, რომლებიც მიუხედავად დღეს ქართულ მეცნიერებაში მავანთა მცდელობით ხელოვნურად შექმნილი სავალალო, უაღრესად გაუსაძლისი ვითარებისა, მაინც ცდილობენ, შეინარჩუნონ და განავითარონ ივანე ჯავახიშვილის საისტორიო სკოლის საუკეთესო ტრადიციები.

**გ. ყორანაშვილს ჰგონია, რომ ქართული საისტორიო მეცნიერების კრიზისის დროს მხოლოდ ის დგას მეცნიერების სადარაჯოზე, მხოლოდ ის იბრძვის ხმალამოღებული საისტორიო მეცნიერების განსავითარებლად და ის ამას მუდამ აკეთებდა, არ ეგუებოდა ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიურ ზეწოლას, ებრძოდა მარქსიზმს, რის გამოც ის, თურმე, უნივერსიტეტიდანაც გამოაგდეს („1975 წელს გამივრცელეს ხმები – გურამ ყორანაშვილი სტუდენტებს ანტიმარქსისტულ ისტორიას ასწავლისო“). და ეს მომხდარა 1975 წელს – საბჭოთა სახელმწიფოს ზეობის ხანაში...**

აი, ჩვენ ხელთა გვაქვს 1988 წელს გამომცემლობა „მეცნიერებაში“ რუსულ ენაზე გ. ყორანაშვილის მიერ გამოცემული მონოგრაფია „Докапиталистические способы производства“, სადაც მთელი თავები ეძღვნება მარქსისა და ლენინის „მემკვიდრეობას“ ამ პრობლემის შესწავლის საქმეში და ავტორი ორი სიტყვით კი არ აფასებს ამ „მემკვიდრეობას“ (მოვალეობის მოხდის მიზნით), არამედ მარქსისტული შეხედულებების პროპაგანდას ეძღვნება ნაშრომის თითქმის მესამედი (მაგალითად, არის ასეთი სენტენციები: „К. Маркс и Ф. Энгельс создали подлинную науку об обществе, его истории“. „Создатели исторического материализма проявляли огромный, неослабивающий интерес к познанию исторического процесса“ და ა. შ. და ა.შ.), ანუ 9 აპრილის ტრაგედიამდე სულ რამდენიმე თვით ადრე მან გამოაქვეყნა ნაშრომი, აღსავსე მარქსისა და ლენინის თხზულებებიდან ციტატებით და გვიმტკიცებს, რომ 1975 წელს ანტიმარქსისტული საუბრებისთვის ის უნივერსიტეტიდან გამოაძევეს?

„ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებსო!“ ასეთი მაგალითების მოტანა ძალიან ბევრი შეიძლება მისი ნაშრომებიდან და ბიოგრაფიიდან.

რაც შეეხება გ. ყორანაშვილის პათოლოგიურ სიძულვილს აკად. გ. მელიქიშვილისადმი – ესეც მისი ავადმყოფური გონების ნაყოფია. ამ სასიქადულო პიროვნებამ გ. ყორანაშვილი, როცა ის ყველასგან მიტოვებული, უსახსროდ, უმუშევრად მიგდებული იყო, თავის ინსტიტუტში, თავის განყოფილებაში მიიყვანა და ლუკმაპური გაუჩინა. და არა მარტო ის – არამედ მისი მეუღლეც კი ინსტიტუტის თანამშრომელი გახადა. მაგრამ, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ერთ-ერთ იგავშია აღწერილი, აქაც ისე მოხდა: ერთ მშვენიერ დღეს ავადმყოფურად გადაეკიდა ამ ღვთისნიერ კაცს, „გესლა და გესლა“, რა არ ეძახა, რა არ აკადრა სიცოცხლეში და დღესაც იმეორებს ამ სიბრიყვეებს, ამ ინსინუაციებს ჩვენი უკეთილშობილესი და სულით ფაქიზი ადამიანის მიმართ.

სწორედ აკად. გ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობის დროს ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მუშაობა გამორჩეულად ნაყოფიერი იყო. „საქართველოს ისტორიის“ რვატომეული, რომელსაც ასე გულმოდგინედ აკრიტიკებს გ ყორანაშვილი, რა თქმა უნდა, უნაკლო არ იქნებოდა (ამას მისი ავტორებიც შენიშნავდნენ), მაგრამ მაინც, ის უდიდესი მოვლენაა ქართულ ისტორიოგრაფიაში – მან შეაჯამა საისტორიო მეცნიერების განვითარების მთელი ეპოქა, მოგვცა ათვლის ახალი წერტილები, დასახა პერსპექტივები, მასზე აღიზარდა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ახალი თაობა (განა ეს ცოტაა!!!).

რა ღირსეული კაცის საქმეა სხვის „გენეტიკურ კოდებში“ (ანუ „საცვლებში“) ქექვა? რა მიზანს ემსახურება გაუთავებლად გ. მელიქიშვილის წინაპრების გვარებით ჟონგლირება („დედით – სომეხი, მამით – ანატოლიელი ბერძენი“), ამით ვის რას ეუბნება გ. ყორანაშვილი?! ამით ხომ მხოლოდ თავის უზნეობას ამტკიცებს?!

შერეული ქორწინებანი გაუკვირდება საქართველოში ვინმეს? გ. ყორანაშვილი რომ ცუდი ისტორიკოსია – ამ შემთხვევაშიც აშკარად ჩანს: სხვა არა იყოს რა, ჩვენი მეფენი ყოველთვის „სუფთა სისხლის“ ქართველები იყვნენ? **პატრიოტიზმს სისხლი კი არა, სულისკვეთება განსაზღვრავს!**

რაც შეეხება „საქართველოს ისტორიის“ ერთტომეულს (ავტორები: დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი), რომელიც გ. ყორანაშვილმა „ნაგავში“ აღმოაჩინა, ის გამომცემლობა „გუმბათმა“ 2012 წელს დიდი ტირაჟით, ძალიან მოკლე დროის მანძილზე ხუთჯერ გამოაქვეყნა და დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა ამ წიგნის ინგლისური ვერსია ამერიკაში, ნიუ-იორკის გამომცემლობა „ნოვამ“ დიდი ტირაჟით დაბეჭდა და მთელ მსოფლიოში გაავრცელა (იხ. ინტერნეტ-მაღაზია „ამაზონი“).

აი, ეს კი არის ჭეშმარიტი სიმართლე...

**ალექსანდრე დაუშვილი,**

**ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.**

**„ტოპოლოგიურ და ძლიერ კორელირებულ სისტემებში აღმოცენებული დაბალგანზომილებიანი კვანტური სისტემები“, — ესაა მოუმზადებელი მკითხველისთვის რთულად წარმოსათქმელი და კიდევ უფრო ძნელად გასაგები ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენციის სახელწოდება, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მასპინძლობდნენ. ქართული მეცნიერებისთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება „ფოლკსვაგენის“ (გერმანია) და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდების მიერ ერთობლივად დაფინანსდა. კონფერენციის მიმდინარეობაზე, მის თემატიკასა და მონაწილეებზე, სამამულო მეცნიერებისთვის მნიშვნელობაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს გიორგი ჯაფარიძეს ვესაუბრეთ:**


პროფესორები დიონისე ბაერისვილი (შვეიცარია) და ალვარო ფერაცი (ბრაზილია)


პროფესორები დიონისე ბაერისვილი (ფრაიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია) და ფელიქს ფონ ოპენი (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი)

# სამამულო ფუნდამენტური მეცნიერება: დღევანდელობა და პერსპექტივები

— თბილისში კონფერენციის ორგანიზაციის ინიციატივა ეკუთვნის დიუსელდორფის უნივერსიტეტის პროფესორს **რაინჰოლდ ეგერს,** რომელიც შარშან შემეხმიანა, შემომთავაზა, გამოგვეყენებინა „ფოლკსვაგენის“ ფონდის პროგრამა და თბილისში ჩაგვეტარებინა დიდი საერთაშორისო კონფერენცია. მალე ჩვენ შემოგვიერთდა ილიას უნივერსიტეტის პროფესორი **ალექსანდრე ნერსესიანი** და შტუტგარტის უნივერსიტეტის ფუნქციონალური მატერიის კვლევის ცენტრის წამყვანი თეორეტიკოსი, ჩვენი თანამემამულე, პროფესორი **გიორგი ჯაყელი**. შევადგინეთ პროექტი, „ფოლკსვაგენის“ ფონდის გარდა ჩვენ ასევე მივმართეთ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს. გაგვიმართლა — ყველგან ვნახეთ მხარდაჭერა და მოგვეცა საშუალება, თბილისში შეგვეკრიბა თანამედროვე კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკისა და კვანტური ნანომასალათმცოდნეობის დარგში მომუშავე წამყვანი ექსპერტები მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნიდან. კონფერენციის წარმატებით მუშაობას ხელი შეუწყო გულითადმა მასპინძლობამ, რომელიც მონაწილეებს გაუწია ილიას უნივერსიტეტმა და მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, სადაც სხდომები ტარდებოდა ათი დღის განმავლობაში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 20 ქვეყნის 80 მეცნიერი — **ბრაზილიიდან, ჩინეთიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ინდოეთიდან, ირანიდან, ისრაელიდან, იტალიიდან, იაპონიიდან, სამხრეთ კორეიდან, ნიდერლანდიიდან, რუსეთიდან, ესპანეთიდან, შვედეთიდან, შვეიცარიიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და, ცხადია, საქართველოდან**. კონფერენციის შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში წაკითხული იყო 52 სრული 45-წუთიანი (!) მოხსენება და, გარდა ამისა, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოთხოვნის შესაბამისად, ორნახევარი დღე დაეთმო სპეციალურ ლექციასემინარებს სტუდენტებისთვის. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის გარემოება, რომ სკოლა-კონფერენციში მონაწილეობდა 16 ახალგაზრდა მეცნიერი **ირანიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ნიდერლანდიიდან, გერმანიიდან, უკრაინიდან და საქართველოს ოთხი უნივერსიტეტიდან**.

კონფერენციის სამეცნიერო თემატიკა ეხებოდა ისეთ სრულიად ახალ და „ცხელ-ცხელ“ საკითხებს, როგორიცაა კვანტური სპინური სითხეები, ტოპოლოგიური ზეგამტარები და იზოლატორები, ვეილისა და დირაკის ნახევარლითონები და მრავალი სხვა. კონფერენციის სამეცნიერო დონის დასტურად იმის აღნიშვნაც კი საკმარისია, რომ მასში მონაწილეობდა გერმანიის მაქსპლანკის საზოგადოების ინსტიტუტების ოთხი დირექტორი, პროფესორები **ჰიდენორი ტაკაგი, ბერნჰარდ კაიმერი, ვალტერ მეტცნერი** და **როდერიკ მესნერი,** ასევე სტოკჰოლმის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკის დარგში ნობელის კომიტეტის წევრი, პროფესორი **ჰანს ჰანსონი,** აბდუს სალამის სახელობის ტრიესტის (იტალია) თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის სექტორის ხელმძღვანელი, პროფესორი **ვლადიმერ კრავცოვი,** ბრაზილიის ფიზიკის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი **ალვარო ფერაცი,** ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი, პროფესორი **ევა ანდრეი** რატგერსის უნივერსიტეტიდან. საამაყოა, რომ კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები შეერთებული შტატებისა და ევროპის ისეთი წამყვანი ცენტრებიდან, როგორიცაა მასაჩუსეტსის და ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტები, ჩიკაგოს, კალიფორნიის, ტოკიოს, ბერლინის, კიოლნის, უტრეჰტის, გეტებორგის უნივერსიტეტები, ვაიცმანის ინსტიტუტი (ისრაელი) და სამხრეთ კორეის ტექნოლოგიური კვლევების ცენტრი.

საქართველო ღირსეულად იყო წარმოდგენილი ამ ფორუმზე კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის დარგში მომუშავე წარმატებული და საერთაშორისო აღიარების მქონე მკვლევარების **გიორგი ჯაყელის, ალექსანდრე შენგელაიას, მიხეილ სექანიას** და **ზურაბ გუგუჩიას** მოხსენებებით. სასიამოვნოა ისიც, რომ კონფერენციაში მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე საფრანგეთიდან, ტულუზის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი **რევაზ რამაზაშვილი**. სტუდენტების პოსტერთა სესიაზე წარმოდგენილი იყო ილიასა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტების მაგისტრანტების **შოთა გარუჩავას, მიხეილ ციციშვილისა** და **ბაჩანა ბერაძის** სადიპლომო ნამუშევრები და აქაც ნამდვილად კარგად წარმოვჩინდით.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ ივნისში თბილისში ჩატარებული სკოლა-კონფერენცია იყო უაღრესად წარმატებული სამეცნიერო შეხვედრა. მონაწილეთა საერთო შეფასებით, ის ერთ-ერთი საუკეთესოა ბოლო წლებში ამ მიმართულებით ევროპაში ჩატარებულ კონფერენციათა შორის, როგორც სამეცნიერო შემადგენლით, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, ეს იყო ჩვენი ქვეყნის და მისი სამეცნიერო თუ აკადემიური სტრუქტურების კარგი რეკლამა, რადგან თვალნათლივ გამოჩნდა, რომ სამეცნიერო საქმიანობა აღნიშნული უახლესი მიმართულებებით დღევანდელ საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს როგორც თეორიის, ასევე ექსპერიმენტის ნაწილში. ამ მხრივ როგორც ილიას, ასევე ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტების მკვლევარები თანამედროვე მეცნიერების წინა ხაზზე არიან. კარგად გამოიკვეთა ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში ეფექტიანად მოქმედებენ როგორც ახალი, ისე ძველი სტრუქტურები, კერძოდ, ეროვნული სამეცნიერო ფონდი და მეცნერებათა ეროვნული აკადემია.

რამდენიმე წლის წინათ, მეცნიერებათა აკადემიის დაშლის შედეგად, მის შემადგენლობაში მყოფი ინსტიტუტები ერთობ დაუფიქრებლად განაწესეს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, რითაც, ფაქტობრივად, დაშალეს და დაანაწევრეს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი. მე ვერ ვიტყვი, რომ მეცნიერებათა აკადემია ეფექტიანი სისტემა იყო, მაგრამ უსახსრობის პირობებში წარმატებით ვერც ვერავინ იმუშავებს, ხოლო ამ პირობებში ფუნდამენტური მეცნიერების წარმატებით განვითარებისთვის, კონსოლიდირებული სისტემის არსებობა ფუნდამენტური კვლევების ეროვნული ცენტრის სახით, ალბათ, ერთადერთი სწორი გამოსავალია. **საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ სინერგიის და ერთიანობის გარეშე, ისეთ პატარა და შეზღუდული მატერიალური შესაძლებლობების სისტემაში, როგორიც საქართველოს სამეცნიერო და აკადემიური სივრცეა, კონკურენცია პროვინციული ქიშპობის ელფერს იძენს, ხოლო დაპირისპირება ამუხრუჭებს განვითარებას და აძლიერებს პროვინციალიზმის ელემენტებს მეცნიერებაში. ამიტომ, თუ გვინდა შევინარჩუნოთ ჩვენი პოზიციები მეცნიერებაში, და ის, რაც ჯერ კიდევ არ დაგვიკარგია, უნდა შევქმნათ მეცნიერების მართვის ისეთი სტრუქტურები, რომლებიც ჩვენში არსებული სამეცნიერო პოტენციალის გაერთიანებასა და თანაგანვითარებას შეუწყობს ხელს.** მიხარია, რომ ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელი, ბატონი **ზვიად გაბისონია** თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მეცნიერების დაფინანსების სტრუქტურის ამ მიმართულებით რეფორმირებაზეც საუბრობდა. მეცნიერებათა აკადემიასაც მეტად სასარგებლო, გამაერთიანებელი სტრუქტურის როლის შესრულება შეუძლია როგორც ტრადიციულ პლატფორმას, სადაც სხვადასხვა უნივერსიტეტებს მიკუთვნებული კვლევითი ერთეულების შეკავშირება და გაერთიანება ხდება.

**ფუნდამენტური მეცნიერების გადარჩენა — ესაა ჩვენი ეროვნული ამოცანა, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენი ენის, ლიტერატურის და ხელოვნების პატრონობას**. ეს სახელმწიფოს ამოცანაა და მეცნიერების დაფინანსების ტვირთის გადატანა ბიზნესზე, რაც ერთობ მოდური თემა გახდა ბოლო ხანებში, მიმაჩნია სრულიად მცდარ მიდგომად. ინოვაციური ტექნოლოგიების ბაზაზე აღმოცენებული სამეცნიერო სტრუქტურების შექმნამდე ჯერ კიდევ შორი გზაა, ეს თავისთავად მოხდება, თუკი მეცნიერებისა და განათლების დონეს შევინარჩუნებთ, **ამიტომ ახლა საჭიროა ჯერ ფუნდამენტური მეცნიერების იმ ნაწილს მივხედოთ, რაც ჯერ კიდევ აქაიქ „ცოცხლობს“. და, რაც მთავარია, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ როგორმე აღვადგინოთ მაღალი დონის სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება მეცნიერების საბაზისო დარგებში.**

ამ მხრივ კონფერენცია კარგი მაგალითის მომცემი აღმოჩნდა: როცა ძალების გაერთიანება მოხერხდა — შედეგიც კარგი მივიღეთ.

**ესაუბრა**

**ოთარ ტურაბელიძე**


მარცხნიდან მარჯვნივ: პროფესორი ალექსანდრე შენგელაია (თსუ), მაქს პლანკის საზოგადოების შტუტგარტის მყარი ტანის სპექტროსკოპიის ინსტიტუტის დირექტორი ბერნჰარდ კაიმერი და აუგსბურგის უნივერსიტეტის მაგნეტიზმის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი დიტერ ვოლჰარტი


ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები ირანიდან, იტალიიდან და გერმანიიდან პოსტერთან



## რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

**354**

ჩვენი უცოდინარობა სულ უფრო შორეულ სამყაროებს სწვდება.

**355**

სამშობლოს სიყვარულმა საზღვრები არ იცის.

**356**

მე მერჩივნა, რომ დავითს ქნარით მოეკლა გოლიათი!

**357**

დემოსთენე თავისუფლად მეტყველებდა პირში კენჭჩადებული, კენჭიც ხელის შემშლელია ვითომ!

**358**

შემჩნეულია საყურადღებო მოვლენა: თრთოლა, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთგაგების საშუალება.

**359**

პატი თავისი თავის შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა იყოს!

**360**

ბგერა არასოდეს არ უბრუნდება სიმს.

**361**

დიდი ღრუბლის პატარა ჩრდილი? პირდაპირ საკვირველია.

**362**

ზოგიერთებს არასოდეს ჰქონიათ იმედი, ზოგიერთები კი სულ იმედის კარგვაში არიან.

**363**

საშინელებაა, როცა ერთ ბატონს უამრავი მონა ჰყავს. თუმცა, მგონი, არც ის არის უკეთესი, როცა ერთ მონას უამრავი ბატონი ჰყავს.

**364**

ვინც თავის დროს გაუსწრო, იმათგან ბევრს მერე არც თუ მაინცდამაინც კომფორტაბელურ ჭერქვეშ მოუხდა დროის დაცდა.

**365**

ბევრნი აღრიცხულნი არ არიან „ამქვეყნად ყოფნის სიაში“.

**366**

განთიადის ჟამი გეოგრაფიულ მდებარეობაზეა დამოკიდებული.

**367**

ბევრს უცდია ფილოსოფიური ქვის მოპოვება აზრის გაქვავების გზით.

**368**

ზოგიერთ ლექსიკონს პატიოსანი სიტყვა აკლია.

**369**

თუ მირაჟი სინამდვილე გამოდგა, ზარალის ანაზღაურება მოითხოვეთ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-130

**370**

იდეალები იდეალისტებისთვის როდია.

**371**

ზოგიერთ გურმანს სურს, რომ თევზმა იფართხალოს ცხიმში, რომელშიაც წვავენ.

**372**

„მე მზის ასული ვარ“, – მითხრა ლიდა ნ-ის ცხვირზე დასკუპებულმა ჭორფლმა.

**373**

ჭეშმარიტ სიბრძნეს თავი არ ექინდრება.

**374**

ჩვენ ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით, მე ჩემს თავს ვხედავდი, ის – თავისას.

**375**

როდის იყო, რომ მიზანი თვითონ აღწევდა მიზანს?

**376**

ბრბო ერთი დიდი პირით ღრიალებს, ოღონდ ათას პატარას აჩენს.

**377**

აქვს თუ არა კაციჭამიას უფლება, რომ შეჭმულთა სახელით ილაპარაკოს?

**378**

### დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

ცივ რამეს თუ უბერავ, შეიძლება რომ საკუთარი გზნება გაიციო.

**379**

ისეთი რობინზონებიც არიან, რომელნიც თავიანთი მარტოობიდან მომავალნი დამარცხდნენ და ტრაგიკულად გადმოვიდნენ დასახლებულ სამყაროში.

**380**

განვედი ჩემგან, მამალო ეშმაკო! მე ჩემი დედალი ეშმაკი მყავს!

**381**

სწორედ ჯაჭვის ყველაზე სუსტი რგოლია ყველაზე ძლიერი: ის ამსხვრევს ბორკილს.

**382**

ვინ იცის, სუფთა ხელები იქნებ სულაც უფრო გრძელები უნდა ყოფილიყო?

**383**

ჭეშმარიტი ბრძენი: თავს მუდამ ისე უხრიდა თავის ბატონს, რომ საჯდომი მისთა მსახურთათვის დაენახვებინა.

**384**

ოჰ, ერთი მამაზეციერის ბინის მისამართი ვიცოდე!

**385**

იდეა: იდეის ქონა!

**386**

მარჯვე გასროლა ის არის, ადამიანს რომ არ მოხვდება.

**387**

სისულელეს ნუ ლაპარაკობ – მტერი ყურს გიგდებს.

**388**

მოვითხოვთ რვასაათიან სამუშაო დღეს აზროვნებისათვის!

**389**

ქვეყნიერების დასახლებაც ადვილია, გაუდაბურებაც, მაშ, აბა სიძნელე რაღაა?

**390**

როცა შიში ფერმკრთალია, სისხლს ითხოვს.

**391**

იყო დრო, როცა მონების ყიდვა დაუფარავად უხდებოდათ.

**392**

საგნებს თავიანთ სახელს ნუ დაარქმევ, თუ არ იცი, რას რა ჰქვია.

**393**

როცა თავს უნიჭოდ იგრძნობ, ის წუთი გენიოსობის ნაპერწკლით არის განათებული.

**394**

გენიალურ აზრს შეიძლება ყველა სიტყვა ჩამოაშორო.

**395**

არსებობენ პაროდიები არარსებულ ნაწარმოებებზე.

**396**

ინტელექტუალურად დამოუკიდებელნი მხოლოდ გენიოსები და ბრიყვები არიან.

**397**

ნუ გამოაღვიძებთ ასოციაციებს, თუ იმათი დაძინების თავი არა გაქვთ.

**398**

ნულებისგან ადვილად იკვრება ჯაჭვი.

**399**

საათი რეკავს... ყველას.

**400**

ქვეყანა უფსიქოპათებოდ? არანორმალური იქნებოდა.

**401**

ბევრი რამ იმიტომ არ არის, რომ სახელი ვერ დაურქმევიათ.

**402**

ვარდებში ის დადის, ვინც კვლებს ქელავს.

**403**

სისხლის ღვრას მოვერიდოთ, საპატიო მეომრის წოდება შემოვიღოთ.

**404**

მანამ დავანგრიოთ ბასტილიები, სანამ ააშენებდნენ.

**405**

ფრთხილად იყავით, როცა უფრთონი ფრთებს შლიან.

**406**

საფრანგეთის რევოლუციამ ცხადად გვიჩვენა, რომ ისინი აგებენ, ვისაც თავგზა ებნევა.

(გაგრძელება იქნება)



# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაია დვალიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**
1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, მე-2 შესახვევი №19, ბინა 44 (საკადასტრო კოდი: 03.05.02.087.01.044).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 31200 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 2 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 16 ივლისი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61032819;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 610328
6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;
ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;
მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ
გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61032819; ლოტის ნომერი: 610328).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 16 ივლისის 10:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნატალია დვალიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**
1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპუსი №25ა, ბინა №81 (საკადასტრო კოდი: 01.19.39.022.003.01.081).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 83200 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 2 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 16 ივლისი, 16:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61033519;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 610335
6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;
ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;
მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ
გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61033519; ლოტის ნომერი: 610335).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 16 ივლისის 10:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანა საღარაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**
1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №3, კორპუსი 20, სადარბაზო 1, სართ. 6, ბინა №21 (საკადასტრო კოდი: 01.14.05.007.166.01.01.021).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთზე ს/ს „ტერაბანკის“ სასარგებლოდ რეგისტრირებულია გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება 2019 წლის 27 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 43913.04 აშშ დოლარს.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 52000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 2 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 17 ივლისი, 16:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61036019;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 610360
6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;
ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;
მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ
გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61036019; ლოტის ნომერი: 610360).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაია დვალიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**
1. **უძრავი ნივთების მესაკუთრე:** მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;

1.1 **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. №2/გუგუნავას ქ. №5, ნაკვეთი №8-5 (საკადასტრო კოდი: 03.05.04.101).
1.2 **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. №2/გუგუნავას ქ. №5, ნაკვეთი №8-1 (საკადასტრო კოდი: 03.05.04.097).
1.3 **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთებზე რეგისტრირებულია შემოსავლების სამსახურის გარდამავალი საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება 2019 წლის 27 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 244.43 ლარს.
2. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 126797.82 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2019 წლის 16 ივლისი, 12:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6;
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;
ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;
მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ
გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.
7. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6;
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 16 ივლისის 12:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბორის კუხალაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18 (საკადასტრო კოდი: 03.01.03.077.01.018).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20904 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 2 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 17 ივლისი, 17:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61038319;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 610383

6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;

ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;

ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;

მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;

ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;

ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;

მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;

შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ

გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61038319; ლოტის ნომერი: 610383).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გოჩა დვალიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ქუთაისი, მესხის ქ. №6/ხმელნიცკის ქ. №15, ბინა №2 (საკადასტრო კოდი: 03.01.03.369.01.002).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 27976 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 2 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 17 ივლისი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61034719;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 610347

6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;

ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;

ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;

მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;

ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;

ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;

მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;

შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ

გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61034719; ლოტის ნომერი: 610347).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე.

# ლაგოდეხში უმნიშვნელოვანეს ქართულ წარწერას მიაკვლიეს



**ასომთავრული ტექსტი X საუკუნის ბოლოსაა შესრულებული და ეკლესიისთვის მიწების შეწირვის შესახებ ჰყვება. წარწერაში ჰერეთის მეფე ადარნასე და დედოფალი დინარია ხსენებული. დღემდე მხოლოდ ნარატიული წყაროებით ცნობილი მეფე-დედოფლის მოხსენიების გარდა, უნიკალური აღმოჩენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარწერაში აღნიშნული საქართველოს ისტორიისთვის ამ დრომდე უცნობი რამდენიმე მმართველის სახელი და ისტორიული ჰერეთის უცნობი ტოპონიმი განსაზღვრავს.**

ახლადგამოვლენილი ეპიგრაფიული ნიმუში გუშინ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კვლევის სამსახურის ხელმძღვანელმა **გიორგი გაგოშიძემ** შეისწავლა.

წარწერის სრულყოფილი პალეოგრაფიული შესწავლა სააგენტოში მომდევნო კვირაში გაგრძელდება და ანგარიშის სახით გამოქვეყნდება. საეკლესიო წარწერის სამეცნიერო კვლევის მიზნით სააგენტოს სპეციალისტების ჯგუფი ლაგოდეხს უახლოეს დღეებში კიდევ ეწვევა, სადაც ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე წინასარეაბილიტაციო მოსამზადებელი ეტაპის გაწმენდით პროცესს ახორციელებს ფონდი „ლაგოდეხის ქომაგი“ ადგილობრივი მცხოვრებლების შემოწირულობებისა და მოხალისეთა ენთუზიაზმის საფუძველზე. სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვითა და ზედამხედველობით, არქეოლოგ **დავით ყვავაძის** ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

# ახალციხეში „ახალციხელობა 2019“ აღნიშნეს

**30 ივნისს ქალაქ ახალციხეში შალვა ახალციხელის ხსენების დღე და „ახალციხელობა 2019“ მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა. ზეიმი წმინდა მარინეს სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვით დაიწყო. პარალელურად დილიდანვე მიმდინარეობდა ღონისძიებები ციხეზე, სადაც დღის განმავლობაში სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ სხვადასხვა კულტურულ, შემეცნებით, სპორტულ ღონისძიებებს და კონცერტებს.**

ქალაქის დღესასწაულის პარალელურად, ახალციხის ციხეზე ტრადიციული რეწვის სახელოსნოების მეორე საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობდა. სტუმრები ქართველი და უცხოელი ოსტატების საქმიანობის სადემონსტრაციო აქტივობებს გაეცნენ. ზეიმი საპატიო ახალციხელების არჩევით გაგრძელდა. აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, 2019 წელს ახალციხის საპატიო მოქალაქეებად დასახელდნენ:

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი სერგი ნეკრესელი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორი ციური ლაფაჩი, პედაგოგი და ახალციხეში პირველი დამოუკიდებელი ქართულენოვანი გაზეთის დამაარსებელი იზოლდა წიქარიშვილი და ქალაქ ახალციხის №3 საჯარო სკოლის პედაგოგი მარიამ კარაპეტიანი. ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ მერიის სტიპენდიანტებიც. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სტიპენდიას ტრადიციულად ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები მიიღებენ.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „დავიდეს“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დავიდე“ (ს/ნ 406112601), თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, ვარკეთილის დას., ზემო პლატო, ნაკვეთი 05/063.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ. №20, სადარბაზო 1, სართ. 14, ბინა 65 (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.607.01.01.065https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 59237.88 ლარი დღგ-ის ჩათვლით;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 2 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61053519;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 610535

6. **მოვალე:** ნინო მუგასაშვილი (პ/ნ 43001032202), ქარელი, ს. ბრეთის მეურნეობა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61053519; ლოტის ნომერი: 610535).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◉ მეორე ევროპული თამაშები



# ღირსეული ფინიში

**საქართველოს სპორტული დელეგაცია სამშობლოში თავაწეული ბრუნდება — მინსკში დასრულებულ მეორე ევროპულ თამაშებზე მოპოვებული 30 მედლით (6 „ოქრო“, 10 „ვერცხლი“, 14 „ბრინჯაო“) ჩვენმა გუნდმა საერთო ჩათვლაში მე-7 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ჯილდოების რაოდენობით მე-5 შედეგი გვქონდა, მაგრამ ორმა ქვეყანამ მხოლოდ „ოქროს“ მონაგრით გაგვისწრო. სამაგიეროდ, უკან მოვიტოვეთ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ბელგია, ავსტრია, შვეიცარია, პორტუგალია, შვედეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, ამერკავკასიელი მეზობლები და ბევრიც სხვა...**

ბელარუსის დედაქალაქში დამთავრებული ფორუმის უკანასკნ:ელი აკორდი გახლდათ „კლასიკოსთა“ (შმაგი ბოლქვაძე — „ვერცხლი“, იაკობ ქაჯაია — „ვერცხლი“, დავით ჩხარტიშვილი — „ბრინჯაო“), მოკრივეთა (სახილ ალახვერდოვი — „ვერცხლი“, ოთარ ერანოსიანი — „ბრინჯაო“) და კარატისტთა (გოგიტა არქანია — „ბრინჯაო“) მოხვეჭილი მედლები, თანაც ამ უკანასკნელმა სარეიტინგო ქულებიც დაიმსახურა და, დიდი ალბათობით, გაისად ტოკიოს ოლიმპიადაზეც იასპარეზებს.

**გუნდური ჩათვლა**

*რუსეთი — 109 (44, 23, 42), ბელარუსი — 69 (24, 16, 29), უკრაინა — 51 (16, 17, 18), იტალია — 41 (13, 15, 13), ჰოლანდია — 29 (9, 13, 7), გერმანია — 26 (7, 6, 13), საქართველო — 30 (6, 10, 14), საფრანგეთი — 28 (6, 9, 13), დიდი ბრიტანეთი — 23 (6, 9, 8), აზერბაიჯანი — 28 (5, 10, 13), სომხეთი — 11 (5, 3, 3), ესპანეთი — 13 (5, 2, 6), უნგრეთი — 19 (4, 6, 9), ბელგია — 6 (4, 1, 1), სლოვენია — 6 (4, 1, 1), ბულგარეთი — 18 (3, 7, 8), პორტუგალია — 15 (3, 6, 6), შვეიცარია — 10 (3, 3, 4), ისრაელი — 7 (3, 3, 1), საბერძნეთი — 9 (3, 2, 4)...*

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ჩოგბურთი

# ნიკოლოზ ბასილაშვილი მასპინძლით იწყებს

**ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც უიმბლდონზე მე-18 ნომრად არის განთესილი, პირველ წრეში უაილდ ქარდის მქონე კორტის მასპინძელ ჯეიმს უორდს ეთამაშება.**

წარმატების შემთხვევაში ბასილაშვილი არგენტინელ ფედერიკო დელ ბონისსა და კიდევ ერთი ბრიტანელ დენ ევანსს შორის უმჯობესს გაეჯიბრება, მე-3 წრეში კი მისი სავარაუდო მეტოქე ხორვატი მარინ ჩილიჩი (მე-12 განთესვა) იქნება.

შეგახსენებთ, რომ შარშან ნიკოლოზმა უიმბლდონის საწყის რაუნდში ფრანგ ჟილ სიმონთან 1:6, 6:7 (5:7), 1:6 წააგო, ამდენად, ლონდონში ქულები დასაცავი არ აქვს.

**კობა კობახიძე**




◉ ოკეანის გაღმა

# რწმენის გამო

**„ინდიანა პეისერზის“ კალათბურთელმა დარენ კოლინსონმა თამაშს თავი დაანება, აღნიშნულ ინფორმაციას ESPN-ი ავრცელებს.**

წყაროს ცნობით, გოგა ბითაძის არშემდგარი თანაგუნ.დელი მოწმეა და ეს გადაწყვეტილება მის რწმენას უკავშირდება.

**„კალათბურთი მიყვარს და ალბათ სულ მეყვარება, მაგრამ ცხოხვრებაში უფრო მნიშვნელოვანი რაღაცები არსებობს, — ეს ჩემი რწმენა და ოჯახია. იეჰოვას მოწმე ვარ და გადავწყვიტე ნბა-დან წავიდე, რწმენა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია“** — განაცხადა კოლინსონმა.

განვლილ სეზონში კოლინსონი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 11 ქულას, 6 პასს და 1.4 ჩაჭრას აგროვებდა.




**ბექან დოლიძე**

◉ კოპა ამერიკა

# პენალტების მადლი

**კოპა ამერიკის პლეი-ოფის სასტარტო რაუნდმა მნიშვნელოვანი ამბები მოიცვა:**

რიგით 46-ე ტურნირს მისი ყველაზე ტიტულოვანი მონაწილე (15 ტრიუმფი) ურუგვაი გამოეთიშა; ოთხიდან სამი შეხვედრა უგოლოდ — 0:0 დასრულდა და გამარჯვებული პენალტების სერიამ გამოავლინა; კონკურენტებთან შედარებით, რჩეულთა კვარტეტისკენ გზა ყველაზე ღირსეულად არგენტინამ გაიკვლია, რომელიც ჯგუფურ ეტაპზე საშინლად გამოიყურებოდა და გუნდს არ ჰგავდა — 2:0 ვენესუელასთან; და, რაც მთავარია, მივიღეთ იქაური ელ კლასიკო — ბრაზილიისა და არგენტინის ფინალის ტოლფასი ნახევარფინალური წყვილი, რომელიც ერთმანეთს ხვალ გამთენიისას — ხუთის ნახევარზე შეებმება; აღსანიშნავია უკანასკნელი ორი გათამაშების ჩემპიონის — ჩილეს ნაკრების მორიგი წარმატება, რომელიც ზედიზედ მესამედ ითამაშებს ნახევარფინალში — ზეგ გამთენიისას პერუსთან.

**გიორგი შოთაძე**




◉ 64



# მხატვრული ეტიუდის დიდოსტატი

**ა. ტროიცკი**
**„ნოვოე ვრემია“, 1895 წ.**



1. კh6+ მფg8 2. g7 მფf7 3. g8ლ+!
4. მფe6 მფh8 5. მფf7 e5 6. კg7x

**ა. ტროიცკი, 1924 წ.**



1. g6! f:g6 2. f6! g:f6 3. a3 მფg5
4. b3 მფf5 5. a4 b:a4 6. b:a4 მფe5
7. d6! c:d6 8. c6! d:c6 9. a5 მფd5
10. a6.

**ალექსეი ტროიცკი (1866-1942) დაიბადა სანკტ-პეტერბურგში.**

იგი თანამედროვე მხატვრული ეტიუდის ერთ-ერთი ფუძემდებელია. პირველი ეტიუდი გამოაქვეყნა 1895 წელს ჟურნალ „ნოვოე ვრემიაში“.

მის შემოქმედებაში თვალსაჩინოდაა ასახული ეტიუდისათვის დამახასიათებელი მრავალი იდეა და ვარიანტი: წყნარი სვლები, შენიღბული მუქარები, ტაქტიკური დარტყმები და ა. შ. 1928 წელს მიენიჭა რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. ა. ტროიცკიმ ეტიუდი ხელოვნების ნიმუშად აქცია.

**შენიშვნა:** თეთრი პაიკების ეფექტური მოქმედებით შავ მეფეს შავი დღე ადგას და წინ გაჭრილი „მარცხენა გარემარბი“ შეუჩერებელია.

**მოამზადა**
**თამაზ შენგელიამ**

# „სად უნდა წავიდეთ“?!

## BLOOMBERG საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს

**გავლენიანი** მედიასაშუალება Bloomberg **ვრცელ სტატიაში მკითხველს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს აღწერს. სტატიაში წარმოდგენილია ტურისტული ადგილების, ქართული კერძების და ღვინის ამსახველი ფოტოგალერეა.**

საქართველოს შესახებ სტატია Bloomberg-მა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით მოამზადა.



**„საქართველო უძველესი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვან სავაჭრო მარშრუტზე მდებარეობს, რომელიც ერთმანეთს აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებს, დღეს საქართველო ვიზიტორებს მრავალფეროვან და დაუვიწყარ თავგადასავლებს სთავაზობს.**

**სამხრეთ კავკასიონის კალთებზე ტურისტებს ლაგოდეხის ეროვნულ პარკში შეუძლიათ ლაშქრობა. მოგზაურებს შეუძლიათ, ეწვიონ თვალწარმტაც ქუთაისს, უმშვენიერეს თბილისს, რომელიც გამორჩეულია ღამის ცხოვრებით და მდიდარი კულტურით. თქვენს სამოგზაურო სიაში აუცილებლად უნდა მოხვდეს ვარძია, ეს არის ქალაქი გამოქვაბულში.**

**გერგეთი სამება, მყინვარწვერთან მდებარე ტაძარი. ეს არის ადგილი, რომელიც ქვეყნის მდიდარი ლანდშაფტის დინამიკურ სილუეტს ქმნის.“**

სტატიის ავტორი მკითხველს ხაჭაპურისა და ხინკლის დაგემოვნებას ურჩევს. სტატიაში საუბარი ქართველების ხასიათზეც არის.

**„საქართველოს უდიდეს მრავალფეროვნებას ქმნის კულტურული საზოგადოება. ეს არის მხიარული, მეგობრული, ამაყი, მაგრამ უბრალო ხალხი. საქართველო არის როგორც ტრადიციული ასევე მოდის მიმდევარი. თბილისი გამორჩეულია ფერადი სახლებით, გუმბათოვანი გოგირდის აბანოებით, ნეომავრიტანული სტილის ოპერის სახლით, თანამედროვე მშვიდობის ხიდით“.**

სტატიაში აღწერილია საქართველოს სხვადასხვა ქალაქი:

**„ბათუმი ეს არის საზღვაო ქალაქი კაფე-ბარებით, ძველი ელეგანტური შენობებით, აქ არის ევროპის მოედანი, თანამედროვე ანბანის კოშკი, ალი და ნინოს ძეგლი.**

**მცხეთა** UNESCO-ს **მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ადგილად არის გამოცხადებული. ერთ დროს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს დედაქალაქი გარშემორტყმულია ციხე-სიმაგრეებითა და მონასტრებით“.**

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ ღვინოს, მის 8-ათასწლოვან ისტორიას და დამზადების წესებს.

**„საქართველოში ვაზის 500-ზე მეტი სახეობაა. კლიმატური პირობებით, მთებით, ბუნებრივი წყლებით და მინერალებით მდიდარი მდინარეებით გარშემორტყმული ვენახები ქართულ ღვინოს განსაკუთრებულ რეპუტაციას ანიჭებენ.**

**ქვევრი** UNESCO-ს **კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შესული, როგორც ღვინის დამზადების უწყვეტი ტრადიცია“.** — წერს Bloomberg-ის ჟურნალისტი ჯოანა ფეიტონი.

საქართველოს შესახებ Bloomberg-ზე ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მასშტაბური კამპანია დაიწყო.

სარეკლამო კამპანია Bloomberg-ის მრავალმილიონიან აუდიტორიას ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ტურისტულ პოტენციალს გააცნობს.

ტელეკომპანია Bloomberg-ს მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში 433 მილიონი მაყურებელი ჰყავს.

## ბათუმში, ინასარიძის ქუჩაზე ოთხი ავტომობილი გაქურდეს!

**შემთხვევა** **ინასარიძის ქუჩაზე მოხდა. ეზოში ჩასულ მეპატრონეებს დილით ავტომანქანებიდან სხვადასხვა აქსესუარი და ავტომობილის ნაწილი მოპარული დახვდათ.**



მომხდარის შესახებ ინფორმაციას და ფოტოებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ალტერნატივა“ ავრცელებს. ფაქტს ადასტურებენ შსს-ში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყებაში შეტყობინება დღეს დილით შევიდა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

### სანთელი



ოთარ ტურაბელიძე, ვაჟა ჯიჯავაძე, თემურ ქურჩიშვილი, სულხან ისაკაძე, თამაზ ანდღულაძე, ნოდარ თოფურიძე, ზურაბ ანთაძე, ვაჟა თოფურია, ჯონდო კაპანაძე, თამაზ მგელაძე, გიორგი ლაშხი უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, გამორჩეული პიროვნების, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საბრძოლო მოქმედებათა ვეტერანის, სამედიცინო სამსახურის გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკის

## ნუგზარ გელოვანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს, ყველა მეგობარსა და თანამებრძოლს.

# ქართული პროდუქცია – ევროსტანდარტების დონეზე!

**თბილისში** **ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა.**

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოება მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ მცირე და საშუალო მეწარმეების წახალისებას გულისხმობს. გამოფენაზე საქართველოს 5 რეგიონიდან 34 წარმომადგენელმა საკუთარი პროდუქცია წარადგინა.

**ირინა გურული,** პროექტის მენეჯერი — **„ჩვენ მივაწოდეთ ინფორმაცია მეწარმეებს ევროსტანდარტების შესახებ, ევროპული ბაზრის უკეთ გამოსაყენებლად. ამ სტაბილურ ბაზარზე გასვლა ქართულ ეკონომიკას ძალიან განავითარებს“.**

**ტომას შრაპელი,** საქართველოში კონრად ადენაუერის ფონდის დირექტორი — **„თქვენ, საქართველოში კარგად იცნობთ მსხვილ გერმანულ ფირმებს, როგორიცაა მერსედესი და სხვა, მაგრამ ქვეყნის გაძლიერებისათვის უფრო მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.**

**კარლ ჰერცელი,** ევროკავშირის ელჩი საქართველოში: **„გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხარისხიანი პროდუქცია, ქართველ მეწარმეებს კარგი პერსპექტივები აქვთ.“**

**რევაზ თოფურია**



# აქტიური პროცესები ივლისში

**გეოფიზიკური** **აქტივობის გაძლიერება სავარაუდოა 2-5, 9, 13, 16-18, 21-25 და 28-31 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და ქარიშხლების ფორმირება, ყველა სახეობის ავარიულობის მომატება, სეისმოაქტივობის გაძლიერება და დაძაბულობა სოციუმში.**

**2 — მთვარის ვენერასთან შეერთება ტყუპების თანავარსკვლავედში, ახალმთვარეობა, მზის დაბნელება.** შესაძლოა გაციება, ხელების ტკივილი, მოერიდეთ სიმძიმეების აწევასა და სტრესებს.

**4 — მთვარის მარსთან და მერკურთან შეერთება ლომის თანავარსკვლავედში.** მოსალოდნელია გულისცემის აჩქარება, არითმია, ტაქიკარდია, გულის შეტევები. როგორც კი თავს ცუდად იგრძნობთ, აუცილებლად გამოიძახეთ ექიმი.

**9 — მთვარის პირველი მეოთხედი სასწორის თანავარსკვლავედში.** სავარაუდოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, ტკივილები გულის არეში, უძილობა. კარგი დროა მეგობრული ურთიერთობებისთვის.



**13 — მთვარის იუპიტერთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში.** გამორიცხული არ არის ღვიძლის, თეძოების სახსრების დაავადებები. გირჩევთ, თავი შეიკავოთ ცხიმიანი და მძიმე საკვების მიღებისგან.

**16 — მთვარის შეერთება სატურნთან და პლუტონთან თხის რქის თანავარსკვლავედში.** არ არის სასურველი ალკოჰოლის, ცხიმიანი და მძიმე საკვების მიღება. დაიცავით დიეტა, ეცადეთ, არ გადატვირთოთ ხერხემალი და ფეხები.

**17 — მთვარის დაბნელება, სავსემთვარეობა.** დიდია საჭმლის მონელების სისტემის დაავადებათა გამძაფრების ალბათობა, ღვიძლთან და ნაღვლის ბუშტთან დაკავშირებით პრობლემების წარმოშობა. მოერიდეთ ინფექციებს.

**25 — მთვარის ბოლო მეოთხედი, მთვარის ურანთან შეერთება კუროს თანავარსკვლავედში.** გამორიცხული არ არის გაციება, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების დარღვევა. არ არის სასურველი ყელის ძარღვების დაძაბვა.

**31 — მთვარის მერკურთან კირჩხიბის, ხოლო ვენერასთან ლომის თანავარსკვლავედში შეერთება.** შესაძლოა ღვიძლის, კუჭის, კუჭქვეშა ჯირკვლის, სუნთქვით ორგანოთა დაავადებების წარმოშობა. არ არის რეკომენდებული ზედმეტი გონებრივი და ფიზიკური დატვირთვა — სტრესს შესაძლოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება მოჰყვეს.

# ტურისტული კუნძული რუსული რაკეტით დაიბომბა

**როგორც ბრიტანული მედია იტყობინება, რუსული წარმოების რაკეტა აფეთქდა კვიპროსის ერთ-ერთ კუნძულზე, ნიქოზიასთან ახლოს.** გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიზანს აცდენილი ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა s-200-ის დეტონირება მოხდა კვიპროსში, რომელიც სირიის სამთავრობო ძალებმა ესროლეს ებრაულ ბომბდამშენებს სწორედ მაშინ, როდესაც



ისინი ანხორციელებდნენ ქალაქ ჰომსში სირიულ საჯარისო შენაერთებზე იერიშებს. ჩრდილოეთი კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუდრეტ ოზერსეიმ განაცხადა, რომ სირიის რუსული ანტისაჰაერო სისტემა S-200-ის რაკეტა აცდა ებრაულ თვითმფრინავებს და სირიის სანაპიროებიდან 70 მილის მოშორებით ჩამოვარდა ჩრდილოეთ კვიპროსში, ვუონოს რეგიონში.

# საერთაშორისო სამხედრო წვრთნები უკრაინაში

**უკრაინაში საერთაშორისო სამხედრო წვრთნები „სი ბრიზ 2019“ დაიწყო.**

შავი ზღვის აკვატორიაში მანევრების ორგანიზატორი უკრაინა და ამერიკის შეერთებული შტატებია. სწავლება ფოკუსირებული იქნება სანაპირო დაცვის, საზღვაო და საჰაერო თავდაცვით ოპერაციებზე. წვრთნები ნატო-ს წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი სახელმწიფოების მონაწილეობით იმართება. მანევრებში ჩართულია 3000 ჯარისკაცი. მათ შორის სამხედროები აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან და საქართველოდან.



„სი ბრიზ 2019“ 12 ივლისამდე გაგრძელდება. სწვალებები გაიმართება ნიკოლაევის, ხერსონის და ოდესის ოლქებში. 7 ივლისს მანევრებში ჩაერთვებიან აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების მეექვსე ფლოტის მეთაურები და პენტაგონის წარმომადგენლები.

# ფინეთი – ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა

**ფინეთმა ევროკავშირის თავმჯდომარეობა რუმინეთისგან გადაიბარა.**

როგორც ფინეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ პროგრამაშია აღნიშნულია, ევროკავშირის თავმჯდომარეობისას ფინეთი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ბრექსითის, დასავლეთ ბალკანეთიდან მიგრაციისა და კლიმატის საკითხებს.

ფინეთის თავმჯდომარეობის პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელებულია საერთო ღირებულებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ევროკავშირის სოციალური მიმზიდველობის გაზრდა, ევროკავშირის როგორც კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მსოფლიო ლიდერის პოზიციის განმტკიცება და მოქალაქეების უსაფრთხოების გაძლიერება.



**„ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს მრავალმხრივ გადაწყვეტილებებს და გაზარდოს თავისი წვლილი კონფლიქტების თავიდან არიდებაში“,** — ნათქვამია ფინეთის თავმჯდომარეობის პროგრამაში.

ამასთან, ფინეთის წარმომადგენლობის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ აუცილებელია ევროკავშირის შიდა უსაფრთხოების წინაშე არსებული ახალი საფრთხეების იდენტიფიცირება, რათა გაძლიერდეს ევროკავშირის მხრიდან მათზე რეაგირების უნარი.

ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა ექვსთვიანი ვადით ირჩევა. ფინეთი ევროკავშირს უკვე მესამედ თავმჯდომარეობს. 2020 წლის პირველი იანვრიდან კი მას ხორვატია შეცვლის.




# 6 ივლისს ბათუმში სუმოს ევროპის საერთაშორისო ღია ტურნირია!

**6 ივლისს ბათუმში, ახალ სპორტის სასახლეში, საქართველოს სუმოს ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და ევროპის საერთაშორისო სუმოს ფედერაციის ეგიდით, სუმოს ევროპის საერთაშორისო ღია ტურნირი KOKKAI OPEN CUP 2019 გაიმართება. აღნიშნულ ტურნირზე მოწვეულია ყველა ის ქვეყანა, რომელსაც აქვს სუმოს აქტიური ფედერაცია.**

ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთის, უნგრეთის, უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანის, ინდოეთისა და იტალის სუმოს ფედერაციები, ასევე ქართველი სპორტსმენები.

განსაკუთრებულად აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია, რომ ევროპის საერთაშორისო სუმოს ფედერაციისგან გვაქვს შემოთავაზება, მომავალ წელს, საქართველო ჩაჯდეს სარეიტინგო სიაში, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ყოველ წელს, ევროპის მასშტაბით, ყველა აქტიური სპორტსმენი ჩამოვა საქართველოს სარეიტინგო ტურნირზე, ხოლო 2021 წელს დაგეგმილი სუმოს ევროპის ჩემპიონატი, დიდი ალბათობით, ჩატარდება საქართველოში.

საქართველოს სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ცაგურია ევროპიდან პირველი სუმოისტია, რომელმაც იაპონიაში 12 წელი იასპარეზა და სუმოს ელიტაში ღირსეული ადგილი დაიკავა. მას მთელი იაპონია და ევროპა საასპარეზო სახელით KOKKAI-თი იცნობს, რაც თავის მხრივ ითარგმნება, როგორც შავი ზღვა. სწორედ ამიტომ სიმბოლურია, რომ ტურნირი იმართება ბათუმში, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენი ქვეყნის ცნობადობას და ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

# საშინელი სეტყვა გვადალახარაში

**მექსიკაში შტორმის დროს მოსულმა სეტყვამ ქალაქი გვადალახარა სეტყვის 1,5-მეტრიანი ფენით დაფარა.**

დაზიანდა ათობით ავტომობილი. ინციდენტი ხალისკოს შტატში გუშინ დილით მოხდა.

საავტომობილო გზები დროებით ჩახერგილი იყო. ადგილზე მობილიზებული იყო საგანგებო სიტუაციების სამსახური და არმია, რომელიც მოსახლეობას სეტყვაში დაფლული ავტომობილების ამოყვანაში ეხმარებოდა.

როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, მოულოდნელი სტიქიის შედეგად დაშავებულები არ არიან.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.8687; ევრო - 3.2657;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6384;
100 რუბლი - 4.5482; თურქული ლირა - 0.4969;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6874;
1000 სომხური დრამი - 6.0077.

**ამინდი 2 ივლისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +11, | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე | +30 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე | +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე | +30 |
| თბილისი: | ღამე | +15, | დღე | +30 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge